# ექო

„... და მაშინ განიხარეთ ყოველ-ნი ქართველ-ნი“

№29, ოთხშაბათი, 21 ნოემბერი – 4 დეკემბერი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი


**2001 წლის 17 ნოემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.**

**სესიის მასალები გამოქვეყნდება.**

## 21 ნოემბერი – კრება მთავარანგელოზ მიქაელისა და სხვათა უსხეულოთა ზეციურ ძალთა

ზეცისა მხედრობათა მთავარანგელოზნო გევედრებით ჩუენ ულირსნი ესე, რათა მეოხებითა თქუენითა შემზღუდნეთ ჩუენ საფარველთა ფრთეთა თქუენითათა და უხორცოისა მის დიდებისა თქუენისა მიერ დაცულნი, შეგივრდებით და ხელაპყრობით გიღაღადებთ. ღელვათა განსაცდელთაგან გვიხსენით ჩუენ დიდნო მთავარნო ზეცისა ძალთანო.

## 23 ნოემბერი – გიორგობა ხსენება წმიდისა ძლევაშემოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისა

ტყვეთა განმათავისუფლებელო, გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო, მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

## „ნოგორ ხელისუფლებას ვისურვებდი“



*მწარედ მეცინება, როცა ახალ-ახალ დაპირებებს ვისმენ. არა, ბატონებო, თქვენ უკვე გარდაცვლილნი ხართ, არავითარი წამალი არ გიშველით, მხოლოდ გასვენება-დაკრძალვა გჭირდებათ...*

*გულწრფელად მჯერა, რომ ხალხის მიერ 1990 წელს არჩეული კანონიერი ხელისუფლების აღდგენა კვლავაც ააღორძინებს ქართველებში ეროვნულ სულს და გააერთიანებს სრულიად საქართველოს.*

გვ. 3

## ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 28 თებერვლის მიმართვა სტუდენტი ახალგაზრდობისადმი



*უკანასკნელ ხანებში სანუგეშო ძვრებს ვხედავ ჩვენი ახალგაზრდობის აზროვნებაში ამ მიმართულებით და იმედი მაქვს, რომ სტუდენტობა საბოლოოდ გაარჩევს თეთრს და შავს, დაუბრუნდება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და იხსნის საქართველოს დაღუპვისაგან.*

გვ. 3

ბადრი ფხალაძე

## „სამართალი არს სიტყუად შენი!“

...ზვიად გამსახურდია ასე განმარტავს ამ ორ იმპულსს: „ერთი მისტიური ჭვრეტის გზაა, მეორე სოციალური განვითარებისა, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და პოზიტიური თეოლოგიისა.. ერთთან დაკავშირებულია ღვთის მისტიური ჭვრეტა, მისტიური თეოლოგია, მეორესთან – ქველმოქმედება და სამართლიანობა სოციალურ სფეროში, აგრეთვე ოფიციალური დოგმატური თეოლოგია, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო იდეოლოგიას“.

გვ. 2

თეა ცირეკიძე

## ცალკეული მინისტრები ამ შემთხვევაში მხოლოდ პაიკებია

არა მგონია, ვინმე იყოს ამ ხელისუფლების მომხრე. თუ კაცს ნამუსი აქვს, უნამუსოსკენ არ უნდა მიუწევდეს გული, მაგრამ საზოგადოება ყოფით პრობლემებში ისეა ჩაძირული, სხვისი ხელით სურს ნარის გლეჯა. ზოგს ეშინია რაიმეს თქმაც კი, მოქმედებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

გვ. 5

ლელა ხაჭაპურიძე

## «ჩვენს ქვეყანას პოლიცია და ქურდები მართავენ»

გვ. 4

ისტორიის გაკვეთილები

## გაუტეხლობა-დაუმორჩილებლობის მატიანე

გვ. 7

## რა გადაგვარჩენს

უყურადღებოდ დარჩა აგრეთვე გერმანიის გაერთიანების წინა პერიოდში შევარდნაძის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანიიდან გამოყვანილ რუს ოფიცრებს თვითონ გამოუნახავდა საცხოვრებელ ადგილებს შავი ზღვისპირეთში – თითქოს რუსეთს საამისოდ არ ყოფნიდა ტერიტორია; ამ მიზნით განხორციელდა აფხაზეთის ტერიტორიის გასხვისება და იმავდროულად, ეს ღონისძიება ემსახურებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენიღბულად შესუსტების მიზანს.

გვ. 5

## კადრები უახლოესი წარსულიდან

ტელევიზორი გაღიზიანებულმა გამოვრთე და მთელი ღამე ვფიქრობდი: ნუთუ ასეთი ჟურნალისტებისაგან შეიტყობს ხალხი სიმართლეს? ვაი, შენ, საბრალო საქართველოვ!

გვ. 4

## ჩვენი რწმენა

### ღმისავლური მედიტაციის შესახებ

### მართლმადიდებლური რწმენისა და თანამედროვე მედიცინის ფონზე

გვ. 6

## მრუდე სარკე და სინამდვილე

„...კიტოვანი და სიგუა ხშირად ჩადიოდნენ მოსკოვში. იქ სიარულს მოუხშირეს სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც. მოსკოვის გზაზე ჯგუფები და პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თენგიზ სიგუას და თენგიზ კიტოვანს მე და კახა გველესიანი მივყვებოდით ხოლმე. ისინი ესაუბრებოდნენ და ეთათბირებოდნენ ედუარდ შევარდნაძეს“.

გვ. 5

# „სამართალი არს სიტყუად შენი!“

## ბედრი ფხალაძე

*„შენ გეზმანება ოლთისი და*
*მდუმარე ბანა,*
*იშხანი, ოშკი, პარხალი და*
*წმინდა ხახული,*
*ვინაც ხილვები წარსულისა*
*ცრემლებით ბანა,*
*ტმთა სიავით დასეტყვილი*
*და ჭირნახული“.*
*ზვიად გამსახურდია*

ღვთივრჩეული ბერის გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა მიმართული იყო ერის სულიერი მოშზადებისა და ქვეყნის არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის.

უპირველესად ქრისტიანული რწმენის განმტკიცება იყო საჭირო, რადგან ქართველთა ნაწილნი „ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

რწმენის დაკარგვა და დამპყრობლის „ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰგონებდით გულისთქმასა გულსა ჩვენთასა მიბაძვებითა მათითა“ გამოიწვევდა ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერების მოშლას.

გრიგოლ ხანძთელის უფროსი თანამედროვე იოანე საბანისძე სულის შემძვრელად სწერს „აღვერენით ერსა უცხოსა“. აგარიანთა რწმენა არაბული ენის სწავლას მოითხოვდა, განსხვავებით ქრისტიანობისაგან, სადაც ყველა ერს მშობლიურ ენაზე ჰქონდა ბიბლია. წერა-კითხვა იმ დროს სასულიერო პირთა გარდა ძირითადად დიდებულებმა იცოდნენ. არადა, დაპყრობილ და სახელმწიფოებრობამოშლილ ქვეყანაში ერის გადაგვარება ზედა ფენებიდან იწყება, აქედან გამომდინარე ამბობს ასე მკაცრად ხანძთის სულიერებით აღსილი გიორგი მერჩულე „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ ადირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ტმი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღსრულების“.

ამ დროს ერისთავთაგან არჩეული და დამპყრობისაგან აღმტკიცებული ერისმთავარნი განაგებდნენ ქვეყანას, რაც მათ ლეგიტიმაციას ასუსტებდა და ამიტომაც ვერ უძღვებოდნენ ქვეყნის გათავისუფლებისათვის ბრძოლას. მხოლოდ შენარჩუნებასღა ცდილობდნენ მეტნაკლები წარმატებით. რასაც ადასტურებს VII-VIII-IX საუკუნეების ჩვენი ისტორია (ნერსე ერისთავრის ღირსეული მსახურება). ამიტომაც დიდი წინაპარი ქვეყნის ხსნას ღვთივკურთხეული სამეფო ხელისუფლების აღდგენაში ხედავს. „დავით წინასწარმეტყველისა და უფლის მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობა და სათნოებანი გაბრწყინენ ქრისტესმან ღმერთმან“.

ასე ლოცავს ქრისტიანულ-ეროვნული სულიერების მწვერვალი გრიგოლ ხანძთელი აშოტ პირველ ბაგრატიონს. ღიმილს იწვევს უღმერთოთა მტკიცება იმისა, რომ ბაგრატიონები სპერიდან არიან და არა დავითიან-სოლომონიანი. ეს გონითი პატრიოტობაა; წმიდა მამები და მით უმეტეს, გრიგოლ ხანძთელის სადარი ბერი, რაიმე მოსაზრებით, რაც არ უნდა კეთილშობილური ყოფილიყო, უცოდინარობით ან წინასწარგანზრახვით არას იტყოდნენ.

ურწმუნოთ ჰგონიათ, რომ ეს მხოლოდ ლეგენდაა, სამეფო გვარის დაძველებისა და ბიბლიურ მეფეთათვის დაკავშირების სურვილი.

სულიწმინდით აღვსილი ბერი სულიერ სავანეთა შენებასთან ერთად ამქვეყნიური სახელმწიფოს აღდგენას ღვთივკურთხეულ მეფეთა იმედით ცდილობს, რომელთაც ლოცვის მადლით ამტკიცებს.

ნუ შეურაცხ-ჰყოფ
ერსა შენსა გლახაკსა და დაწუნებულსა,
არამედ შემწე ეყავნ
მარჯუენაჲ შენი ძლიერი და მაღალი,
შობილი ქალწულისაგან,
და მიჴსნენ ჩუენ მონებისაგან მტერთა ჩუენთაჲს
აგარის ნათესავთა,
და ძლევაჲ მოჰმადლე მეფესა ჩუენსა.

შემდეგ კი მარიამ ღვთისმშობელს შესთხოვს მის წილხვდომილ ქვეყნისათვის შუამდგომლობას უფალთან.

„ევედრე ძესა
შენსა და ღმერთსა ჩუენსა, ყოველად უბიწოო,
რათა მოგანიჭოს ჩუენ
გამოჴსნად უღლისაგან მტერთა ჩუენთაჲსა,
და მეფესა ჩუენსა მოჰმადლის ძლევაჲ ბარბაროზთაჲ!“

დამპყრობელთაგან ქვეყნის „ტმთა სიავის“ მაცქერალი მხოლოდ ერთს შესთხოვს ღმერთს:

„მოეც უფალო,
მეფესა ჩუენსა მორწმუნესა
ძლიერი საჭურველი,
და დაამხე სიმრავლმ ბარბაროზთაჲ!“

გრიგოლ ხანძთელი გულისტკივილით ამბობს: „ერი შენი... დაწუნებულ არს მარადის მტერთაგან“ და უფალს შესთხოვს „რათა იჴსნენ - მტერთაგან მადიდებელნი შენნი“. იგი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად თავისუფლების დაკარგვისა, ქართველი „ერი მართლმადიდებელი მორწმუნე აღმსარებელი“-ა.

იგივე აზრი აქვს გატარებული მის მოწაფესა თუ მოწაფეთა მოწაფეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართული ენისაჲ“-ს ავტორს: „და ეს ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მოელის დღესა მის მეორედ მოსვლასა უფლისა“.

➪ 33. 8

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დროის მრისხანება

## ლილი არაბული

ჩვენი ქვეყნის ისტორიის უკანასკნელმა ათწლეულმა განსაკუთრებული ძალით გვიჩვენა ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის აუცილებლობა და მნიშვნელობა. ეროვნული მოძრაობის არსებობა ყველა დროში იმსახურებდა ღრმა მოწიწებასა და თანადგომას თაობებისაგან, ეროვნული გმირის წოდებაც შემთხვევით როდია ყველა წოდებაზე აღმატებული.

საქართველო ეროვნული მოძრაობის ძალისხმევითა და მიღწეული შედეგებით გამორჩეულია ერთა შორის (ისევე, როგორც მრავალი სხვა ნიშნით). ბუნებრივია, იმავდროულად ცალსახად მნიშვნელოვანია ამ მოძრაობის ბრძოლის წარმმართველთა ვინაობა და პიროვნულობა. ამ თვალსაზრისითაც ქართული ეროვნული მოძრაობა განსაკუთრებულია და განა გასაკვირი უნდა იყოს ის შედეგები, რასაც მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მიაღწია მან, როდესაც ღვთივკურთხეული წინამძღოლი მოჰმადლა ქართველ ერს ღმერთმა ზვიად გამსახურდია სახით. ბუნებრივია, ჩვენის მხრივ მისი როლის ამომწურავად შეფასება შეუძლებელია და ერთგვარი კადნიერებაც, მაგრამ ქართული სულისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა მარტოოდენ მისი ხვედრი როდი იყო, ჩვენ კი იგი მხოლოდ მას მივანდეთ, უფრო მეტიც, მივატოვეთ და თავად მომლოდინეს როლი ვიკისრეთ, თავისუფალი საქართველოს ნეტარებით კი გვსურდა დავმტკბარიყავით. რამდენადაც ვცილდებოდით ბრძოლის ველის ქარცეცხლიან შუაგულს, სადაც პრეზიდენტი ტრიალებდა, მით მეტად იკვრებოდა ჩვენს თავზე შავი ღრუბელი, ვითარცა სასჯელი. ასეა ყოველთვის, ამას ადასტურებს ხალხთა ისტორიები: რაც მეტ გულგრილობას გამოვიჩენთ სულიერების გადარჩენისათვის ბრძოლაში, მით მეტ რისხვას მოვიწევთ საკუთარ თავზე. ქართულ მოდგმას არ გვჯეროდა ზვიად გამსახურდიას გარეშე არსებობა. იგი ერთგვარად მარადიულ, მუდამ ჩვენთან მყოფ პატრონად მივიჩნიეთ და მისი დაუმარცხებლობისა კიდევ უფრო დავიჯერეთ. ამაში არის ერთის მხრივ სიმართლე - ის მართლაც არის განუმეორებელი და დაუმარცხებელი, მაგრამ ეს როდი გვიხსნიდა ჩვენ ქიმერის კლანჭებისაგან...

გასაოცარია, ბატონი ზვიადის მიტინგებზე ხალხის ტევა არ იყო. დღეს კი ეს ზღვა ხალხი თვალსა და ხელს შუა გაქრა. რა მოხდა, სად წავიდნენ ადამიანები?! განა ასე მალე დაივიწყეს ზეპირადული ღვთაებრივ-ეროვნული საქმენი და მარტოდენ პირადი ცხოვრების ინტერესმა მოიცვა?! ის მიტინგები ნუთუ მხოლოდ წუთიერი აღტკინება იყო და ეროვნული მუხტისაგან ერთიანად დაიცალა შემდგომ... რაოდენ ძნელია ამის ერთბაშად დაჯერება...

ისტორიას შეგნებულად გვავიწყებენ, მაგრამ როგორ შეიძლება არ გვახსოვდეს ჩვენი უახლესი წარსული - XIX საუკუნე ანუ რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჯანყის საუკუნე (1802, 1804, 1812, 1832, ასევე 1924, 1956 წლები და ა.შ.), ალექსანდრე, ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილები, ალექსანდრე, ვახტანგ და დემეტრე ორბელიანები, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მრავალი სხვა.

იმავდროულად, მათ გვერდით მებრძოლი ქართველი ქალები, მათ შორის მარიამ დედოფალი, დარეჯან დედოფალი, თამარ და თეკლა ბატონიშვილები, რომლებიც ერთ-ერთი მოთავენი იყვნენ 1832 წლის იესე ფალავანდიშვილის ღალატით გაცემული შეთქმულებისა. ისტორია მრავალ მაგალითს იმეორებს თავის წიაღში, სამართლიან ბრძოლებს ყოველთვის სდევდა შავი აჩრდილი - ღალატი, განა ღალატმა და გამცემლობამ არ გატეხა ციხე შიგნიდან 1991-1992 წ.წ. პუტჩის ჟამს, ხოლო ჩვენი პრეზიდენტი კი დევნილად აქცია...

XX საუკუნის მეორე ნახევრის ანუ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მოძრაობას დანარჩენი მოძრაობებისაგან ყველაზე მეტად გამოარჩევდა და საჩინო ჰყოფდა უმთავრესი ნიშანი - სარწმუნოებრივი სახიათი - ეს პოლიტიკურთან ერთად იყო რელიგიური, ეკლესიური ხასიათის ეროვნული მოძრაობა, ეს იყო არა ათეისტური, არამედ ჭეშმარიტად ქრისტიანული, გეორგიანული ბრძოლა; არა ტამპლიერთა თუ ჯვაროსანთა მარტოდენ გარეგანი, შეფარვითი და მოჩვენებითი ბრძოლა შინაგანი უწმიდურებით, არამედ ეს იყო ღრმა სულიერების მსახურება, სიწმინდისა და მადლის დამკვიდრებისათვის ბრძოლა, ერთდროულად შინაგანი და გარეგანი ძალმოსილებით მორწმუნე ქართველთა შემართული სვლა კაცობრიობის (არა მარტო ქართველების) მტრების წინააღმდეგ. „მსოფლიოს ყველა კეთილი ნებისა და რწმენის ადამიანი უნდა გაერთიანდეს სატანისტების ბნელი ზრახვების ჩასახშობად, უნდა ვამხილოთ ერთიანი მსოფლიო შეთქმულება, შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ (ზვიად გამსახურდია „ქართული აზრი“, 1992წ.) - ეს მოწოდება დღეს კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს. თანამედროვე ეროვნული მოძრაობის მისიის სიმძიმე იმაშიც გამოიხატება სწორედ, რომ იგი არ არის მიმართული ერთი რომელიმე დამპყრობლისაგან თავის დასაღწევად, ეს არ არის ხმალთა კვეთება თურქთან, სპარსთან, რუსთან თუ არაბთან, არამედ ჩვენი დროის აპოკალიფსური უტყეურობა იმაშიც ვლინდება, რომ ეს არის უმეტესად „აბსტრაქტული“ ხასიათის ძალებთან ბრძოლა, ეს არის დიმილით მომავალ, მშვიდობის მსურველ და ჰუმანიზმის მქადაგებელთა წინააღმდეგ ბრძოლა. მტერი არ მოიწევს ჩვენსკენ გამეხებით, იგი არ გვემუქრება აშკარად, საჩინოდ არ გვეცხადება; პირიქით, „წესრიგისა“ და „სიმშვიდის“ დამყარებისაკენ მოგვიწოდებს, მაგრამ ყველგან შხამსა და გესლს ანთხევს. ღიმილის მიღმა შემზარავი მტრობა და სიძულვილი იმალება და ვეღარც იმალება. „კაცობრიობის მტრები“ წინაღმდგარ ეროვნულ ძალებს მისივე უბედურ თვისტომთან შეიარაღების ძალით იცილებენ. იღვრება სისხლი აქა-იქ და ცინიზმს საზღვარი არა აქვს - თითქოს ე.წ. ოპოზიცია იბრძოდეს, იგი ამხობდეს მთავრობებს და იმარჯვებდეს. აი, ჩვენი თანადროულობის შემზარავი ნიშანი!

ზვიად გამსახურდია მარტოდმარტო აღუდგა წინ მსოფლიო იმპერიალისტურ - მასონურ პოლიტიკას, მაშინ ვერ ვაცნობიერებდით მის მიერ ბუშის, ბეიკერისა და სხვათა მხილების ძალას, ამიტომაც, მისი სახით ეროვნული ძალა დაამხეს, შემდეგ კი ეროვნული მოძრაობა მთლიანად დაქსაქსეს. დღეს ისინი ზოგნი კულისებს მიღმა მოღვაწეობენ ისევ (ბუში, ბეიკერი, გორბაჩოვი), ზოგნი კი „დემოკრატი პრეზიდენტები“ გახდნენ (ე. შევარდნაძე), ანუ ძალა, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკა გაანადგურა, ენა, მამული წაბილწა და შეაგინა, ღირსების გრძნობა ჩაკლა, ეროვნული სულის შემართება ძირს დასცა. დღეს ეს ძალა თავზე გვაზის და ჩვენც უნდა „ავიტანოთ“ იგი. აი, ჩვენი დროის, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი თაობის ყველაზე ტრაგიკური ხვედრი.



ბოროტების მეუფებამ ნაყოფი გამოიღო - ეროვნული მოძრაობა ჩიხში მოექცა, დარჩა ერთი მუჭა ხალხი, ვის სულშიაც ვერ მოიკიდა ფეხი ანტიქრისტიანულმა ბაცილამ, მაგრამ ეს გამართლება როდია, არამედ ცოდვათთაგანი ხვედრის სიმძიმე, სასჯელის სისასტიკე - დავიმსახურეთ ეს და კიდევაც უნდა ვიწვნიოთ ჩვენი ყოფით მიყენებული ტკივილი.

დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლხური კოშკის წიაღში არსებობს. ეროვნულობას დღეს ბევრი იჩემებს და მასზე პრეტენზიას გამოთქვამს, რითაც კიდევ უფრო თავგზას უბნევენ ისედაც გულგრილ ადამიანებს. ამ მოღალატე ძალთათვის უცხოა გულწრფელობა - ფარისეველნი ქრისტეს დროიდან გამოვიდნენ ასპარეზზე განსაკუთრებული აქტიურობით...

ერში ჩაკლულია წინააღმდეგობის უნარი; მებძოლი სული სულ უფრო დეგრადაციას განიცდის და მტერსაც ეს უნდა. იგი სულ უფრო დაუნდობელი ხდება, თუმცა ჭეშმარიტ მებრძოლთა ხსენებაც კი აფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს მას. საქართველოს ხსნისა და გადარჩენისათვის უნდა აღდგეს ეს სული, წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი კიდევ უფრო დაგვსჯის, ანუ რაც მეტად შევაჩერებთ ბრძოლას, რაც მალე არ გამოვიღვიძებთ და „ძხილების მახვილით“ წინ არ აღვუდგებით მათ გამცემლურ მოღვაწეობას, მით ხანგრძლივი დროით იქნებიან ისინი ამ სოფლის მპყრობელნი.

ეროვნული დაუმორჩილებლობა და ბრძოლა თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ; ბოროტებასთან შეურიგებელი ბრძოლა ქრისტესმიერი სათნოებაა. ჩვენი ბრძოლა უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ქრისტიანულ-გეორგიანული მოძრაობა, სარწმუნოება ფარად უნდა შემოვირტყათ, ჯვარი იარაღად უნდა გავიხადოთ და სიტყვა საქმედ ვაქციოთ. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ღრმად ქრისტიანულ მითითებებსა და დასახულ გზებზე უნდა შევძლოთ სვლა, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს. „სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია“ - აი, დევიზი ჩვენი ბრძოლისა და მოქმედებისა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღეს განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე დგას, ვიდრე ოდესმე. ისტორიაში ცოტა თუ მოიძებნება მაგალითები იმისა, ქართველი ერი ასე დაცემული რომ ყოფილიყოს. სულიერებას მოწყვეტილი საზოგადოება სრულად ვეღარც კი აცნობიერებს, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით. ეს ყოველივე შემთხვევითი არაა: „დღეს... ჩვენი სარწმუნოების გამოცდაა... ბოროტების მეუფება ხანმოკლეა. იგი დაშვებულია ღვთის მიერ სასჯელად ცოდვათა ჩვენთათვის, სარწმუნოების ჩვენის გამოსაცდელად“ (ზ.გ. გაზ. „ქართული აზრი“, 1992).

ამჟამინდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი ბირთვი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა ამ ღვთაებრივი გამოცდის წინაშე დგანან. უფალი არასოდეს მოგვივლენს ისეთ განსაცდელს, რომლის დაძლევასაც ვერ შევძლებთ. ეს უმძიმესი ჟამი ურწმუნოებისა თუ ცრურწმენისა, უმოქმედობისა და ინდიფერენტულობისა, შიშისა და პირადული ინტერესებისა უსაოუოდ დაძლეული იქნება ქრისტეს სახელით მებრძოლი ქართველების ღვთივსათნომყოფელი მისიის აღსრულებით. რიცხობრიობა აქ გადამწყვეტ როლს არ თამაშობს: „ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა მრავალრიცხოვნების წყვდიადს“ (ზ.გ. „დიდება კაცობრიობის წინაშე“).

ქრისტიანულ-ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლა წმიდათაწმიდა საქმეა და იგი თავის წიაღში არ დატოვებს არავის, ვინც ღვთისა და ერის ერთგული არ არის, - ყველას ამხელს და გაცხრილავს. მცირეოდენი დარჩებიან რჩეულნი და ქრისტესმიერ ძალმოსილებასაც სწორედ ისინი შეიძენენ, რამეთუ აღასრულონ თავიანთი მიწიერი ვალდებულება. სიკვდილი ყოველ წუთს გველოდება, მაგრამ ეს ხომ სახისცვალებაა, ბრძოლა კი უსასრულოდ გრძელდება (მაშინაც კი, როცა მტერი დასამარდება).

# 1993 წლის 28 თებერვლის მიმართვა სტუდენტი ახალგაზრდობისადმი

ძვირფასო ახალგაზრდებო!

ყველა მოწინავე და ცივილიზებულ ქვეყანაში სტუდენტი ახალგაზრდობა ბარომეტრია ერის პოლიტიკური ცხოვრებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანას უჭირს. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძირითადად ახალგაზრდული მოძრაობა იყო, სტუდენტი ახალგაზრდობა ძირითადი საყრდენი იყო ჩვენთვის საბჭოთა პერიოდში, შევარდნაძის კომუნისტურ, რუსიფიკატორულ, ტოტალიტარულ რეჟიმთან ბრძოლაში.

თუმც იმპერიის აგენტურა საქართველოში ყოველნაირად ცდილობდა ეროვნული მოძრაობისათვის და საერთოდ ეროვნული იდეოლოგიისათვის ჩამოეშორებინა სტუდენტი ახალგაზრდობა, დაენერგა მასში პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, ეროვნული ნიჰილიზმი, ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმი, ხოლო ახალგაზრდობის ნაკლებად მოაზროვნე ნაწილში – კრიმინალური იდეოლოგია. ეროვნული იდეალების ერთგულება ახალგაზრდობის ამ ცრუ მოძღვრებმა პროვინციალიზმად და ჩამორჩენილობად მონათლეს, რწმენის ერთგულება – ფანატიზმად. ნერგავდნენ დასავლეთის ფსევდოკულტურას, ფსევდოინდივიდუალიზმს, უინტელექტო პროვინციალებს უწოდებდნენ ეროვნული მოძრაობის თავკაცებს, თავად პროვინციელები. ისინი ახალგაზრდობას უმალავდნენ ან, შესაძლოა, თავადაც არ უწყოდნენ, რომ ყოველ დროში თეთ უნივერსალური, კოსმოპოლიტურად მოაზროვნე გენიოსები ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების თუ პოლიტიკის დარგში, თავისი ერის გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ მუდამ და რომ კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ურთიერთგამომრიცხავი არ გახლავთ, როგორც ეს შესანიშნავად აღნიშნა ჩვენმა დიდმა ვაჟა-ფშაველამ. მიუხედავად ამისა, კრემლის ზემოხსენებული ემისრები განაგრძობდნენ თავის ბნელ საქმიანობას და

ერთხანს მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს იმით, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და, უფრო მეტიც, ეროვნული ხელისუფლებისადმი მტრულად განაწყეს და ფსევდოოპოზიციურ საქმიანობაში ჩაითრიეს.

ეს ყოველივე კარგად გამოვლინდა ოპოზიციური ახალგაზრდობის ჩემთან შეხვედრისას 1991 წლის შემოდგომაზე.

მაგრამ განვლილმა ერთმა წელმა კარგად დაანახა ჩვენს ახალგაზრდობას, თუ ვინ არის ის პიროვნება, ვის ჩამოსაყვანადაც მათ ზურგი აქციეს კანონიერ ხელისუფლებას და იდეური პლატფორმა გაუმაგრეს პუტჩისტებს. ახლა, ეგონებ, ყველასთვის ნათელია, თუ რა მისით იქნა იგი მოვლენილი საქართველოში და რას უქადის ჩვენს ქვეყანას მისი შემდგომი საქმიანობა პოლიტიკურ ასპარეზზე: დაქცეული საქართველო, დანგრეული და იავარქმნილი თბილისი, დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთი. კატასტროფის პირას მისული ეკონომიკა, ცრუ არჩევნები, ხელისუფლებაში დაბრუნებული ნომენკლატურულ-კომუნისტური მაფია კარგად მეტყველებენ მის როლზე და ამოცანებზე. დღეს მის გვერდით მხოლოდ დოლარებზე გაყიდული „პოლიტიკოსები“ და პარტოკრატი მაფიოზები დგანან.

უკანასკნელ ხანებში სანუგეშო ძვრებს ვხედავ ჩვენი ახალგაზრდობის აზროვნებაში ამ მიმართულებით და იმედი მაქვს, რომ სტუდენტობა საბოლოოდ გაარჩევს თეთრს და შავს, დაუბრუნდება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და იხსნის საქართველოს დაღუპვისაგან.

მსურს, აგრეთვე ყველას ვამცნო, რომ ჩვენი მიზანია არის არა თანამდებობის დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის, კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. მჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილი კვლავ მხარში ამოგვიდგება საქართველოს ხსნისთვის ბრძოლაში.

**ზვიად გამსახურდია**

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი*

## რა ხდება დღეს

**ონისე იმედაძე**

როცა ირგვლივ არაფერია მყარი, ხელჩასაჭიდი, ხუნდება მუდმივი ფასეულობანი, ე.წ. მთავრობას თავისი ფაციფუცა გადაწყვეტილებანი თვითონვე ავიწყდება და ძალაუფლების გასახანგრძლივებლად იძულებულია ახალ-ახალ ტრიუკებს მიმართოს,



ასეთ დროს ახალგაზრდებისათვის, მათი აღზრდა-განვითარებისათვის, რა თქმა უნდა, არავის სცხელა. არადა, თითქოს რა აქვთ დასაჩივლი: ქვეყანა ინსტიტუტ-უნივერსიტეტებით მოიფინა, აირჩია, რომელიც გინდა, თუ სახელწოდებებსა და სპეციალობებს დაიწუნებ და გვიკვირს კიდეც, თუ ზოგი ახალგაზრდა „ვერ ამართლებს“, სწორ გზს სცდება, მაგრამ მომავალი თაობა არც ისე გულუბრყვილო ყოფილა, არც ისე უბირი და გაბრუებულ-ჩაძინებული. ეს ახლახანაც მთელი სიცხადით გამოჩნდა, რაც, ალბათ, მხოლოდ დასაწყისია, მოახლოებული განთიადის მაუწყებელი.

ხშირად გაიგონებთ, რომ ქუჩაში გამოსული ახალგაზრდობა მხოლოდ მოტყუებული ფარა იყო, რომ იგი მავანმა და მავანმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენა და ა.შ. ოსტატურად ააგო თავისი გადაცემები ტელევიზიამაც: აჩვენებდნენ ყმანვილების გულუბრყვილო, მოცინარ სახეებს, რომლებმაც თვითონაც არ იცოდნენ, რამ გამოიყვანათ გარეთ. არადა, სულ სხვა რამ ირკვევა, ისინი უკვე ძალიან კარგად ხვდებიან ყველაფერს, ყელში აქვთ ამოსული ამდენი სიცრუე, სიყალბე, მსჯელობენ უკეთესი მერმისისათვის სწორი გზის დასასახად. საერთო აზრი ერთია, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობენ ქუთაისელი სტუდენტებიც, რომელთაც ორიენტაციისათვის ამგვარი კითხვით მივმართეთ: როგორ ხელისუფლებას ისურვებდით?

**ლანა ღიგრაძე:**

*სულ ახლახანს თბილისელი სტუდენტი ახალგაზდობა ქუჩაში გამოვიდა. ეს იყო ახალგაზრდული ნების გამოხატვა არსებული უსამართლო და უხეირო ხელისუფლების წინააღმდეგ (როგორ მწყდება გული, რომ მათ რიგებში არ ვიყავი). გაისმოდა შეძახილები: გადადგეს „პრეზიდენტი“, დღეს არსებული დე ფაქტო ხელისუფლება*

*„პრეზიდენტმა“ „შეიწყნარა“ სტუდენტების მოთხოვნა და მინისტრები გაათავისუფლა. დიახ, იოლად დათმო ყველა საკარძელი, გარდა საკუთარისა. მომიტინგეები დაიშალნენ. და აი, პრეზიდენტმა ხალხს შეაპარა განცხადება იმის თაობაზე, რომ განთავისუფლებული მინისტრების ნაწილი შეიძლება ისევ დარჩნენ თავიანთ ადგილებზე, რადგან მათ არაფერი დაუშავებიათ(?) და თურმე მათი პროფესიონალიზმი მეტად საჭირო და შეუცვლელია.*

*სცენა თითქოს საგულდაგულოდ, მაღალ დონეზე გათამაშდა, მაგრამ ვაი, რომ ფარდა მეტად გამჭვირვალეა და ლაქებიანიც.*

*ქვეყანა, რომლის სათავეშიც თაღლითები, მატყუარები, სისხლიანი წარსულის მქონე პიროვნებები დგანან, დასაღუპადაა განწირული. მე ვისურვებდი ხელისუფლებას, რომელიც, პირველ რიგში, იქნება ეროვნული თვითშეგნებისა, ნამდვილად ეყვარება საქართველო და იბრძოლებს არა საკუთარი განდიდებისათვის, არამედ ჩვენი ბედკრული ქვეყნის ჭაობიდან ამოსაყვანად...*

*ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენა გადაარჩენს.*

**ნათია ჟუტიძე:**

*დავდივარ საყვარელი ქალაქის ქუჩებში და გული სევდით მევსება. ეს რა უმწეო, დაბეჩავებული სახეებია. ნუთუ ეს ეკადრება საქართველოს? ნუთუ აღარ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ქვეყანას ამ მდგომარეობიდან გამოიყვანენ? რა ძლიერი ყოფილა თანამდებობისკენ სწრაფვა, თორემ რა სინდისით სხედან პარლამენტში, კაბინეტებში ჩვენი ხალხის შემყურენი. ამგვარ სიტუაციაში კაცი თანამდებობას როგორ უნდა დაეხარბოს. ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ხელისუფლების სათავეში უნდა მოვიდნენ პიროვნებები, რომელთაც სამშობლოს მოტყუება არ შეუძლიათ, ვინც სამათხოვროდ გამოწვდილ ხელებს საქმეს მისცემს, გაზარში ატუზულ საწყალ ინტელიგენტს ღირსებას დაუბრუნებს, მათხოვარ ბავშვს სკოლის მერხზე დასვამს.*

*მწარედ მეცინება, როცა ახალ-ახალ დაპირებებს ვისმენ. არა, ბატონებო, თქვენ უკვე გარდაცვლილნი ხართ, არავითარი წამალი არ გიშველით, მხოლოდ გასვენება-დაკრძალვა გვჭირდებათ...*

**შადიმან გადილია:**

*როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ნამდვილად პატრიოტი ადამიანი, ზვიად გამსახურდია და კანონიერი ხელისუფლება. მაგრამ გაჩაღდა უსამართლო ომი, შემოიჭრნენ გარეშე ძალები, გაძევეს და იმსჯერპლეს კანონიერი პრეზიდენტი, ხელისუფლება, დაიკარგა ქართული მიწები. ხალხს ყელში ამოუვიდა ამგვარი ყოფა. წამოიზარდა ახალი თაობა, რომელიც ყველაფერს კარგად ხედავს. ახლახან მათ მასობრივი პროტესტით გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება. ე.წ. ხელისუფლება დაფაცურდა. წამოვიდა უხვი დაპირებანი. მიმდინარეობს „კოსმეტიკური“ ღონისძიებანი. რა შეიცვალა? ჯერ-ჯერობით ყველა-ფერი ძველებურად მიდის. ეს ალბათ, ბოლო ფარა, ბოლო ფარული ფიგურა, ბოლო ფარული ფიგურა კვლავ ადგილზეა და ვინ იცის, კიდევ რა მზაკვრობა აქვს ჩაფიქრებული. მე მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხალხზე ნამდვილად იზრუნებს, ისეთი პატრიოტი პიროვნებები, როგორიც იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.*

## „როგორ ხელისუფლებას ვისურვებდი“

**ნინო ავალიანი:**

*ქვეყანა ინგრევა. ვის სცალია ახალგაზრდებისათვის. მინდოდა, საკუთარ პრობლემებზე, სწავლის დონეზე მელაპარაკა, მაგრამ არა, არც მას ეშველება, სანამ ქვეყნის სათავე არ დაიწმინდება. დრო გადის, ჯერ-ჯერობით სასიკეთოს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ იმედი დიდი რამ ყოფილა, გულს მაინც არ ვიტეხ. გულწრფელად მჯერა, რომ ხალხის მიერ 1990 წელს არჩეული კანონიერი ხელისუფლების აღდგენა კვლავაც ააღორძინებს ქართველებში ეროვნულ სულს და გააერთიანებს სრულიად საქართველოს.*

*ჩვენ კვლავაც შემოგთავაზებთ ახალგაზრდებთან საუბრის ფრაგმენტებს იმ რწმენით, რომ აბობოქრებულ სულს, სწორ ორიენტაციას, მართალ სიტყვას შედეგიც სათანადო მოჰყვება.*

ДЕТАЛИ

# «ჩვენს ქვეყანას პოლიცია და ქურდები მართავენ»

ლელა ხაჭაპურიძე

ამას წინათ ახლობელთან მისულს, იქ სტუმრად მყოფი ნაცნობი დამხვდა. რა დასამალია და, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სიტუაციის გაანალიზების შემდეგ საუბარს ფაქტიური ხელისუფლების „ქება-დიდება“ მოჰყვა. გამოირკვა, რომ ჩემი ნაცნობი ამჟამად რუსეთში მუშაობს და საქართველოში ახლახანს ჩამოვიდა. დავინტერესდი და ვკითხე: რუსეთში წასვლისას რა ბარიერების გადალახვა გიხდება, სერთოდ, მგზავრობა ჭირს თუ თავისუფლად შეგიძლია დაუძერე მებაჟეთა კლანჭებს-მეთქი.

- ჩემი ქვეყნისა და ოჯახის წინაშე ვალდებული ვარ ხანდახან დავბრუნდე, თორემ აქეთ წამოსვლა ტანჯვაა. როგორც კი საქართველოს საზღვრებს მოადგები, იწყება გაუთავებელი გადასახადები, ბედს გაწყევლინებენ. ზოგჯერ ისიც კი მიფიქრია, რომ ეს აღარაა სახელმწიფო, ეს რაღაც საგიუეთია. ამას წინათ რუსეთში მივდიოდი, ჩვენებური ჩურჩხელები მიმქონდა, რომ როცა სამშობლო მომენატრებოდა, დამეხედა მაინც, თორემ იქაც კი იყიდება. ნეტა სულ არ წამელო. რაც მაშინ უბედურება გადავიტანე, ახლა ადვილია გასახსენებლად. ჩემს მანქანაზე რუსული ნომრები დაინახეს თუ არა, საგზაო პოლიციამაც არ დააყოვნა - გამაჩერეს, შემამოწმეს, ისეთი ვერაფერი მიპოვეს, რომ ჯარიმა გადაეხდევინებინათ. ამ დროს რაღაც უბედურებად ჩურჩხელები დაინახეს, ატყდა ერთი ამბავი, რას ჰქვია, რუსეთში მიგაქვსო. ვიფიქრე, ამათთან ჩხუბს ჯობია გადავუხადო, ამათაც შიათ, ხელფასს არ აძლევენ, ძალით გააყაჩაღეს-მეთქი. მივეცი ფული და გამიშვეს. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ საგზაო პოლიციამ გამაჩერა. იგივე განმეორდა. კიდევ გადავიხადე. საზღვარზე მისვლამდე ოთხჯერ გამაჩერეს, ფაქტობრივად ოთხჯერ ვიყიდე ჩემი ჩურჩხელები. კიდევ რომ გამაჩერეს, გადავირიე, თქვე დალოცვილებო, საქართველოს ქონება ხომ არ გამაქვს, ჩურჩხელებია. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, ხატებსაც კი ჰყიდიან და არაფერს ამბობთ-მეთქი. რომ აღარ მომეშვნენ, ავიღე ჩემი ჩურჩხელები, პოლიციელის თვალწინ გადავტეხე და არხში ჩავყარე, ჩემი გული თან გაჰყვა, მაგრამ რა მექნა, ათი ცალი ჩურჩხელა იმოდენა თანხა დამიჯდა.

> **უფროსის კაბინეტში „კანონიერი“ ქურდი მანქანის ნომრებს ითხოვდა, თან ეუბნებოდა: თუ გინდა მთელი დასავლეთ საქართველოს მილიციას აქ მოვიყვანო.**

რაც მე ვნახე, იმისდა მიხედვით თამამად შემიძლია ვთქვა: ჩვენს ქვეყანას პოლიცია და ქურდები მართავენ. ქალაქში უბრალოდ გასვლისასაც შეამჩნევ, თუ როგორ შეჭამეს საქართველო. ქურდებს თუ გაექეცი, პოლიცია გტანჯავს, თავისუფლად სუნთქვა ჭირს. საშუალებას არ გაძლევენ, რაიმე გააკეთო. როცა ამას ვამბობ, ხომ არ გგონიათ, კომუნისტების დროს მივტირი? ახლა რომ გამოვლენ ძველი კომუნისტები და ამაყობენ, ჩვენს დროს კარგად ვცხოვრობდით, ასეთი რამ არ ხდებოდა, მექრთამეობა არ იყოო, ეგ მაინც ვიცი, რა როგორ იყო. მაშინაც ბევრი წვალება გადამხდა და ერთ შემთხვევაზე გიამბობთ, რომელიც არ მავიწყდება.

23 წლის ვიყავი. მაშინაც რუსეთში ვმუშაობდი გარკვეული ხნით და „გაზ-24“ მარკის ავტომანქანა ვიყიდე. წამოვიყვანე საქართველოში, მინდოდა ქართული ნომერი ჰქონოდა. როცა 3500 მანეთი მომთხოვეს, გავვოცდი, მანქანაში 1500 მივეცი და ნომერში ამდენი როგორ გადავიხადო-მეთქი. მთელი თვე მარბენინეს მილიციის სამმართველოში, ყოველნაირი ცნობა მიმატანინეს. დილიდან საღამომდე მათ მოსაცდელში ვიდექი და თანხმობას ველოდი. მაშინ წყალტუბოს ზონის სოფელ დღნორისაში ვიყავი ჩაწერილი, დავრბოდი წყალტუბოსა და სოფელს შორის, რა ცნობები არ გავაკეთებინე სოფლის კოლმეურნეობისა და საბჭოს თავმჯდომარეებს. როცა ბოლოს წყალტუბოში ჩავედი, კაკაბაძე იყო ერთი, იცით რა საბუთი მომთხოვა? - ცნობა იმის შესახებ, რომ სოფლის ხელმძღვანელები თანახმანი იყვნენ მყოლოდა „გაზ-24“ მარკის ავტომანქანა. ისევ წავედი სოფელში და ჩემი გასაჭირი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ვუთხარი. გადაირია კაცი, ამდენი ხნისა ვარ, ბიძიკო და ასეთი ცნობა თუ არსებობდა, აღარ ვიცოდიო. მაინც მომცა ცნობა და მივედი მილიციაში. იმდენი საბუთი მეჭირა, ტარება მიმძიმდა. როდის-როდის შევედი მილიციის უფროსის მოადგილესთან, ვითომ რაღაცას საქმიანობდა, გაბრაზებულმა მითხრა „ზანიატი“ ვარო და ისევ გარეთ გამომიშვა. როცა ამგვარი რამ რამდენჯერმე განმეორდა, ვეღარ მოვითმინე, შევვარდი და საბუთების დასტა მაგიდაზე დავუგდე. გამწარებულმა მითხრა, რა ჯანდაბად გინდოდა „ვოლგა“, რომელი დიდი კაცი შენ ხარო. მეც გავბრაზდი და უხეშად ვუპასუხე, ასე „მეხოშებოდა-მეთქი“. უცბად იღრიალა, მეცა, მერე წიხლი მკრა, ისე რომ ოთახის ბოლოში აღმოვჩნდი. ვფიქრობდი, ახლავე რუსეთში წავალ, მანქანას წავიყვან, აქაურობის არაფერი მინდა-მეთქი. როცა დავმშვიდდი, მილიციის უფროსთან შესვლა გადავწყვიტე. მან დახედა ცნობებს და როცა ბოლო, ზემოთ ნახსენები ცნობაც დაათვალიერა, ლამის გადაირია, ვინ მოგთხოვა ესო. ადგა და საბუთებზე ხელი მომიწერა. თანაც მითხრა, ჩემს მოადგილეს დაუძახეო. მოადგილეს არ უნდოდა მეც შევყოლოდი, მაგრამ კაბინეტში შემავალ მილიციელთა ნაკადს შევერიე. დაიწყო თათბირი. უფროსი მიუბრუნდა მოადგილეს და ეუბნება, ამ კაცს ყველა საბუთი წესრიგში აქვს, ეკუთვნის თუ არა მანქანის ნომერიო. მანაც ხმა ვეღარ ამოიღო. სიხარულით გავეშურე ქუთაისისკენ, ნომრების ასაღებად. უფროსი კაბინეტში ვიღაცას ესაუბრებოდა. მესმოდა მათი ლაპარაკი. ვიღაც ქურდი ნომრებს ითხოვდა, თან ეუბნებოდა: მთელ დასავლეთ საქართველოს მილიციას აქ მოგიყვან, თუ გინდაო. უფროსი პასუხობდა: ბიჭო, ახლა რეიდებია, არ შემიძლია ამ საქმის გაკეთება, სამი დღის მერე მოდი და ყველაფერი მზად იქნებაო. განაწყენებულმა ქურდმა კარი გაუჯახუნა. ახლა მე შევედი. იმ დროისათვის პარკს ვატარებდი, პასპორტის სურათში კი თმა არ მქონდა. გავუწოდე პასპორტი უფროსს, დახედა და მითხრა: არა, ეს შენ არა ხარო. უცებ მოვიძვრე პარიკი, კი ბატონო, მე ვარ-მეთქი. იმისი სახე არ დამავიწყდება, რა მეშველება ამდენი გიჟის ხელშიო. უცბად მომინერა ხელი და გამომიშვა. მეც გახარებული წამოვედი.



ეს ყველაფერი 80-იან წლებში მოხდა. იქნებ არც ღირდა ამ კერძო ამბებზე ლაპარაკი, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, შეადარებს ამ ორ შემთხვევას და მაშინდელი კომუნისტური წყობისაგან თუ როგორი „პროგრესული“ ნაბიჯებით წავედით წინ, დასკვნებსაც თავად გააკეთებს.

## კადრები უახლოესი წარსულიდან

თამარ გაჩეჩილაძე

### ვინ გააჩერა მატარებელი?

1992 წლის იანვარ-თებერვალში (თუმცა არც შემდეგ დაკლებიათ) საქართველოს ტელევიზიიდან უხვად იღვრებოდა ცილისმწამებლური „ცნობები“ უკვე განდევნილი ეროვნული მთავრობისა და პრეზიდენტის მისამართით - „ფაქტები“, რომლისაც თვითონ არ სჯეროდათ ჩვენს „სახალხო“ დიქტორებს, მაგრამ მაინც უნდა ეთქვათ, რადგან „პრესტიჟული სამსახური“ სჭირდებოდათ და „ახალი უფროსების“ გულს იგებდნენ. ვინც კი პირი გააღო პრეზიდენტისა და ეროვნული მთავრობის სალანძღავად, ყველა სამხედრო საბჭოში იყო (თბილ-თბილი ადგილებიც მიიღეს). ასეთი ცილისწამების შემთხვევებს ვინ მოსთვლის. მოგითხრობთ ერთ მათგანზე, რაც ჩემი თვალით ვნახე, ხოლო შემდეგ მის შესახებ ტელევიზიიდან მონასმენი ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა.

ქუთაისი-საჩხერის მატარებელი, რომლითაც მე ვმგზავრობდი სადგურ სვირში გაჩერდა. გაურკვეველი მიზეზის გამო (უდანობას აბრალებდნენ) იქ რამოდენიმე საათი მოგვიხდა ცდა. თითქმის მთელი მატარებელი დაიცალა, ბაქანზე დაიწყეს სიარული, თან ჯგუფ-ჯგუფად, ვაგონებთან თავმოყრილ ხალხს უყურებდნენ. მეც დავინტერესდი და ფანჯრიდან დავუწყე ცქერა ხალხს, რომლებიც გვერდით ლიანდაგზე მდგომი სატვირთო მატარებლის ვაგონებიდან რაღაც ტვირთს ეზიდებოდნენ. უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ სოფლისაკენ ტომრებით, ვედროებით, ყოველნაირი ჭურჭლით დატვირთული კაცები და ქალები. ვაგონში შემომსვლელებს ვკითხე, რა ხდებოდა - მიპასუხეს: ეს სატვირთო მატარებელი უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც სადგურში დგას, არავინ ჩანს პატრონი, არც უფროსი, არც უმცროსი. ვიღაც დაინტერესდა, რით იყო ის დატვირთული, თურმე - მინერალური სასუქით - ჰოდა, სოფლის მოსახლეობამ სწრაფად მიიღო ინფორმაცია, გატეხეს ვაგონები (დამშლელი არავინ ჰყავდათ) და სიხარულით ეზიდებოდა მინერალურ სასუქს. ჩვენი მატარებელი რის ვაი-ვაგლახით მივიდა დანიშნულ ადგილამდე, მაგრამ მთავარი ეს არ არის. გადის ორი დღე, დაიწყო საღამოს საინფორმაციო გამოშვება და ყურებს არ ვუჯერებ: დიქტორი ზაზა ალექსიძე მთელი მონდომებით აშუქებს, რომ ორიოდე დღის წინ სადგურ „სვირში“ ექსპრეზიდენტის მომხრეებმა გააჩერეს სატვირთო მატარებელი და გაძარცვეს მისი რამდენიმე ვაგონი ძვირადღირებული საქონლით.

ტელევიზორი გაღიზიანებულმა გამოვრთე და მთელი დამე ვფიქრობდი: ნუთუ ასეთი ჟურნალისტებისაგან შეიტყობს ხალხი სიმართლეს? ვაი, შენ, საბრალო საქართველოვ!

### პროვოკაციების დიდოსტატნი

იყო ასეთი შემთხვევა (1992 წლის იანვრის თვე დგას): ქუთაისის ტელევიზია აჩვენებს კადრს: სამართალდამცავებს (რა თქმა უნდა, თბილისიდან მოვლინებულთ) დაკითხვაზე ჰყავთ რამდენიმე მეგრელი ყმაწვილი და ეკითხებიან: სად მიდიოდით? თბილისში - პასუხობენ. რატომ მიდიოდით? ჩვენი პრეზიდენტის დასაცავად - პასუხობენ გაბედულად. ამ დროს წამოიმართა მეორე ახალგაზრდა და (ზედვე ეტყობოდა უვიცობა და მხოლოდ დამსჯელის სახე ჰქონდა) მიმართა ყმაწვილებს: ტო! თქვენ არ იცით, რომ ზვიად გამსახურდია მხოლოდ მამით არის მეგრელი, დედა კი ქართველი ჰყავს? თენგიზ სიგუა კი სუფთა მეგრელია, დედაც მეგრელი ჰყავს და მამაც; აზრზე ხართ ტო? კიდევ წახვალთ გამსახურდიას დასახმარებლად?

ასეთი გულისამრევი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ დაკავებული ყმაწვილები თავიანთ აზრზე იდგნენ.

მეორე დღეს მშვიდობიანი მანიფესტაცია მოედნიდან მილიციის სამმართველოსკენ გაემართა (ჯავახიშვილის ქუჩაზე). მანიფესტანტები ითხოვდნენ სამართალდამცავებთან შეხვედრას, მაგრამ კარი მაგრად აღმოჩნდა ჩაკეტილი და ყურადღებას არავინ გვაქცევდა. ბოლოს გაიღო აივნის კარი და ორი-სამი კაცი გადმოდგა, მათ შორის ის ყმაწვილიც, რომელიც ასე მოძღვრავდა წინა ღამით თბილისისაკენ მიმავალ ახალგაზრდებს. ხალხმა ერთბაშად იხუვლა შენობაში შესასვლელად, მაგრამ ამაოდ, ის ყმაწვილი სწრაფად გაშორდა იქაურობას.

უკან გამობრუნებისას კიკვიძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე უცებ სროლა ატყდა, ხალხი დაიბნა, მაგრამ რამდენიმე ახალგაზრდამ შეამჩნია, ვინც ისროდა, გაეკიდნენ და საერთო ბინის სადარბაზოში დაიჭირეს საშუალო ხნის კაცი, რომელიც პროვოკაციულად ისროდა გადაჭრილ თოფს. იქვე ქუჩაში გადაამტვრიეს თოფი და ფეხებთან დაუყარეს პატრონს, თან გააფრთხილეს, ტყუილად თავი არ შეეწუხებია, მის პროვოკაციაზე არავინ წამოეგებოდა.

ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრი იყო.

### უგვანი ახალგაზრდა

1992 წლის იანვარ-თებერვალში, თითქმის ყოველდღე, ცენტრალურ მოედანზე, პრეფექტურის შენობის წინ და ქუჩებში იმართებოდა საპროტესტო აქციები, მანიფესტაციები კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. ადგილობრივ მილიციას არასოდეს გამოუჩენია ინიციატივა დაეშალა იგი, მაგრამ პრეფექტურის შენობაში და მის შესასვლელთან მყოფმა პუტჩისტებმა საკმაოდ ბევრჯერ გაგვრეკეს ბაღის მიმართულებით ავტომატების სროლით (შენობაში იმყოფებოდა მალხაზ დვალიშვილი თავისი დამქაშებით, სახელშელახული გოგო-ბიჭებით). აშკარად იკვეთებოდა ერთი ახალგაზრდის აქტიურობა თითქმის ყველა შეკრების დროს - დარბოდა მომიტინგეებს შორის, იმუქრებოდა უწმაწური სიტყვებით.

ერთ თოვლიან დღესაც ეთნოგრაფიული მუზეუმის წინ, სადაც აუარება ხალხი იყო თავმოყრილი, ისევ გამოჩნდა ის ყმაწვილი დიდი დანით ხელში და მოუწოდა მათ დაშლისაკენ. იქვე იდგნენ მაშინდელი ქალაქის კომენდანტი და სამართალდამცავები, რომელთაც დიდი აღშფოთება არ გამოუხატავთ, მაგრამ ხალხს სთხოვეს მშვიდობიანად დაშლილიყვნენ და წასულიყვნენ სახლებში. ხალხმა ბაღის მიმართულებით გადაინაცვლა, რომელთაც ისევ ის ყმაწვილი ამკობდათ საზიზღარი სიტყვებით. ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, შეკრეს წრე მის ირგვლივ, მაგრამ მან დანით ხელში გაარღვია ეს წრე და გაიქცა. თოვლზე ფეხი დაუცურდა, წაიქცა და დანა ხელიდან დაუვარდა. მაშინვე სტაცეს ხელი დანასაც და მის პატრონსაც, მაგრამ მალე გამოუჩნდნენ მას დამცველები და პრეფექტურის შენობაში შეაფარებინეს თავი.

ხალხმა კარგად იცოდა, ვინ იდგა იმ შენობაში და რაღა მიხვედრა უნდოდა, ვის ემსახურებოდა ის უგვანი ახალგაზრდა.

## ДЕДЕВАНДЕЛОБА

### ТЕА ЦИРЕКИДЗЕ

# ЦАЛКЕУЛИ МИНИСТРЕБИ ДА ШЕМОТХЕВЕВАШИ МХОЛОДО ПАИКЕБИА

ათასგვარი ფიქრისაგან გადაღლილს, ქუჩაში გავლისას კიდევ უფრო გემატება დარდი. უამრავი გამათხოვრებული ადამიანი ნათლად წარმოაჩენს დღეს შექმნილი მდგომარეობის აუტანლობას.

ვინაიდან ადამიანთა გასაჭირს მანამ ვერ აღწერ, სანამ მათ აზრს არ გაიგებ, რესპონდენტად ერთ-ერთი, რიგითი მძღოლი **რევაზ თავართქილაძე** შევარჩიეთ. იგი დღესდღეობით ავტომანქანების შემკეთებლად მუშაობს.

*- ბატონო რევაზ, თქვენ მრავალ ადამიანთან გიხდებათ ურთიერთობა, რა მდგომარეობაში არიან დღეს თქვენს ირგვლივ მყოფნი?*

- რაღა თქმა უნდა, მოსახლეობას დღეს ძალიან უჭირს. ადამიანი იძულებულია, ჩემთან მანქანის შესაკეთებლად მოვიდეს, მაგრამ გადახდის საშუალება არა აქვს, არა და რა ქნას, როცა ეს აუცილებელია.

*- არ გიფიქრიათ, რა არის ასეთი ყოფის მიზეზი?*

- ყველა გზა რომში მიდისო, ამბობენ. რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ და ვადანაშაულოთ ცალკეული მინისტრები, მაინც სათავემდე მივდივართ - ყველაფრის მიზეზი ის სისხლია, რომელზეც დაფუძნებულია ეს მთავრობა. ვის არ ახსოვს, რა საშინელებები დაატრიალეს ამათ, კანონიერი ხელისუფლება იარაღით განდევნეს, მიტინგები სისხლში ჩაახშეს. რას მოელოდა ქართველი ხალხი ამათგან, საქართველოს აყვავებას?

*- ზოგს დღესაც სჯერა ფაქტობრივი მთავრობისა. თქვენი აზრით, მართლა ასე გულუბრყვილოა საზოგადოების ნაწილი თუ არის რაღაც, რის გამოც არ სურს იმოქმედოს. ხომ არ აქვს ხალხს რაიმეს შიში, თუნდაც მდგომარეობის გაუარესების?*

- ჩემს ირგვლივ მყოფთაგანნი და, საერთოდ, არა მგონია, ვინმე იყოს ამ ხელისუფლების მომხრე. თუ კაცს ნამუსი აქვს, უნამუსოსკენ არ უნდა მიუწევდეს გული, მაგრამ საზოგადოება ყოფით პრობლემებში ისეა ჩაძირული, სხვისი ხელით სურს ნარის გლეჯა. ზოგს ეშინია რაიმეს თქმაც კი, მოქმედებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

*- თქვენი საუბრიდან ირკვევა, რომ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა გსურთ, თქვენს ირგვლივ მყოფნი რა აზრისა არიან ამაზე?*

- ნამდვილად გეუბნებით, უმრავლესობა მომხრეა. არაა საქმე ისე, როგორც ტელევიზიით აცხადებენ. მერწმუნეთ, ხალხის ყველაზე დიდი სურვილია სისხლით მოსული მთავრობის გადადგომა.

*- რა გააღვიძებს ქართველი ერის გარკვეულ ნაწილში მიძინებულ ეროვნულ თვითშეგნებას, თქვენი აზრით, რაშია ხსნა?*

- ქართველ ერს სჭირდება კანონიერი მთავრობის სამართალმემკვიდრეობის აღდგენა. ეს გამოიყვანს მას ყოველგვარი გასაჭირიდან და ააცილებს კარზე მომდგარ საშინელებებს.

## МРУДЗЕ САРКЕ ДА СИНАМДЗВИЛЕ

# МРУДЗЕ САРКЕ

ილია კევლიშვილის 2001 წლის 14 ნოემბრის რადიოგადაცემაში „ინფორმაცია განსჯისათვის“ სტუმრად მიწვეული იყო „ქეთევან წამებულის“ საზოგადოების თავმჯდომარე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი იზოლდა ჭილაძე, რომელმაც განაცხადა: „იმის გამო, რომ სიგუამ არ დაუჭირა მხარი გატარებულ რეფორმებს, ზვიად გამსახურდიამ იგი გაანთავისუფლა თანამდებობიდან. თავად გამსახურდიამ კიტოვანთან შეუთანხმებლად გააუქმა ეროვნული გვარდია, რის გამოც კიტოვანი მის წინააღმდეგ წავიდა და დაბინავდა შავნაბადაზე“.

# СИНАМДЗВИЛЕ

თენგიზ სიგუა რეფორმების გამო არ გადადგომია ზვიად გამსახურდიას, არც კიტოვანის ღალატი იყო მასთან შეუთანხმებელი მოქმედების შედეგი. ისინი გამიზნულად ღალატობდნენ არა მარტო გამსახურდიას პიროვნებას, არამედ მთელს კანონიერ ხელისუფლებას, ქართველ ხალხს. ამაში თავად პუტჩისტთა წევრები დაგვარწმუნებენ.

**თამაზ ღუმბაძე** - „თქვენ გასაგონად, ბიჭებო!“ (თბილისი, მერანი, 3, 1999წ.):

"...კიტოვანი და სიგუა ხშირად ჩადიოდნენ მოსკოვში. იქ სიაროულს მოუხშირეს სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც. მოსკოვის გზაზე ჯგუფები და პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თენგიზ სიგუას და თენგიზ კიტოვანს მე და კახა გველესიანი მივყვებოდით ხოლმე. ისინი ესაუბრებოდნენ და ეთათბირებოდნენ ედუარდ შევარდნაძეს".

ახლა **ჯაბა იოსელიანს** მოვუსმინოთ.

„სამი განზომილება“ (თბილისი, 1999 წ., მეორე გამოცემა):

გვ. 48: "კიტოვანი გვპირდება ავტომატებს - სიგუასთან ერთად ხშირად აკითხავს რუსების შტაბს".

გვ. 73: "კიტოვანს ვიღაც საშა - რუსი პოლკოვნიკი დაყვება კონსულტანტად (გადამოწმებული ინფორმაციით, საშა იყო გრუ-ს თანამშრომელი".

გვ. 112: "მოსკოვში ყოფნისას სიგუამ და კიტოვანმა (ერთმაც და მეორემაც) მოინახულეს შევარდნაძე".

ისტორიას მაინც ვერ გააყალბებთ, ბატონო კევლიშვილო!

## РА ГАДАГВАРЧЕНС

### ГУРАМ СИРБИЛАДЗЕ

**უყურადღებოდ დატოვეს აგრეთვე გერმანიის გაერთიანების წინა პერიოდში შევარდნაძის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანიიდან გამოყვანილ რუს ოფიცრებს თვითონ გამოუნახავდა საცხოვრებელ ადგილებს შავი ზღვისპირეთში - თითქოს რუსეთს საამისოდ არ ყოფნიდა ტერიტორია; ამ მიზნით განხორციელდა აფხაზეთის ტორიტორიის გასხვისება და იმავდროულად, ეს ღონისძიება ემსახურებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენიღბულად შესუსტების მიზანს.**

თავისი ქარცეცხლიანი ისტორიის პერიოდში საქართველოს ასე მწვავედ არასოდეს უგრძვნია რაინდული სულით აღსავსე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, მის ჭირ-ვარამზე ფიქრით დამძიმებული მამულიშვილების ნაკლებობა.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი და თვით საქართველო მრავალჯერ ყოფილა აოხრებული, გადამწვარ-გადაბუგული და ყოველთვის აღმდგარა მკვდრეთით თავდადებული მამულიშვილების ძალისხმევით.

დღეს კი რას მოვესწარით: ერის ხელოვნურად გადატაკების, სრული დეგრადაციის მცდელობისა და აშკარა გენოციდის, ღია, შეუჩერებელი პროცესის პირობებში ქართველი ხალხი ელოდება - რა იქნება ხვალ? - თითქოს საკუთარი პანაშვიდის ხილვის სურვილი გაუჩნდა...

ეროვნული მოძრაობის ლოზუნგმა, რომ მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით გადააყენებენ თვითმარქვია, მოძალადე ფაქტობრივ ხელისუფლებას - დღეს ახალი აზრი შეიძინა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება ყურადღების ღირსადაც კი არ თვლის ხალხის მოთხოვნას გადადგომის შესახებ და მათ საკუთარ „სამართალს“ უპირისპირდება...

მოაზროვნე პიროვნებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის დანახვა, რომ საქართველო და ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფება...

ბოლო ცხრა წლის მანძილზე მოძალადე ფაქტობრივმა ხელისუფლებამ რეალურად განახორციელა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული დივერსიები ყველა სფეროში, - პროცესი გრძელდება, - რომლის საბოლოო მიზანია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სრული ლიკვიდაცია და ქართველი ერის განადგურება; საქართველოს ტერიტორია უნდა გადანაწილდეს უცხოელ მილიონერებზე, როგორც სააგარაკო ადგილები; ცენტრალური ნაწილი კი უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო ზონად, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი...

ყველაფერი ეს ძალიან მოკლედ გამოთქმული ე.წ. „მსოფლიო ახალი წესრიგის“ (მასონური პროგრამის) შემადგენელი ნაწილია და მისი აღსრულება საქართველოში დავალებული აქვს შევარდნაძეს, როგორც მასონური ცენტრის ერთ-ერთ აქტივისტს. ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 90-იან წლებში, მაგრამ რატომღაც მაშინ, უყურადღებოდ დატოვეს ქართველებმა უყურადღებოდ დატოვეს აგრეთვე გერმანიის გაერთიანების წინა პერიოდში შევარდნაძის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანიიდან გამოყვანილ რუს ოფიცრებს თვითონ გამოუნახავდა საცხოვრებელ ადგილებს შავი ზღვისპირეთში - თითქოს რუსეთს საამისოდ არ ყოფნიდა ტერიტორია; ამ მიზნით განხორციელდა აფხაზეთის ტორიტორიის გასხვისება და იმავდროულად, ეს ღონისძიება ემსახურებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენიღბულად შესუსტების მიზანს, რაც ფაქტობრივად განხორციელდა შევარდნაძის მეშვეობით, რომელმაც თავის კარიერას შესწირა ათიათასობით ქართველი პატრიოტის სიცოცხლე და თვით საქართველო...

თუმც, არიან ზოგიერთები, რომლებსაც უკვე გაცნობიერებული აქვთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და მწვავედ განიცდიან შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ხმას ვერ იღებენ, რადგან სატანისათვის აქვთ სული მიყიდული და ერის ჭეშმარიტ სამსახურში რომ აღმოჩნდნენ, სატანა უნდა ჩამოაცილო მათ ცნობიერებას...

განა ცოტანი არიან ასეთი პიროვნებები, თუნდაც სუკის რიგებში, რომლებმაც იციან, რომ სუკი სახელმწიფოს უშიშროებას უნდა იცავდეს და არა რომელიმე პიროვნებას, რა დონისაც არ უნდა იყოს იგი. პიროვნების უშიშროების დაცვას ცალკეული დაცვის სამსახურები ახორციელებენ... როგორც ცნობილია, ხელისუფლების დაცვა ყოველთვის არ ნიშნავს სახელმწიფოს დაცვას; სახელმწიფო და ხელისუფლება ორი სხვადასხვა ცნებაა და ხშირად ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი ხდება სახელმწიფოს გადარჩენისათვის; ამ კონკრეტულ სიტუაციაში იმყოფება დღეს საქართველო...

განა ცოტაა პიროვნებები, ასევე შინაგან საქმეთა ორგანოებში, რომლებმაც იციან, რომ ამ სამსახურს მოსახლეობის უსაფრთხოებისა და საერთო წესრიგის დაცვა ევალება და არა მათი შევიწროება საკუთარი ჯიბის გასქელების მიზნით...

ასე შეიძლება, საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი გაკეთდეს ცალკეული დარგების მიხედვით...

ეროვნული სიცოცხლისუნარიანობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის არ კმარა მხოლოდ ლოზუნგები...



ერის პროგრესული ნაწილის გამაერთიანებელი კრიტერიუმი უნდა იყოს საერთო მიზანი და თითოეულის მოვალეობა სამშობლოს წინაშე და არა ამბიციური თვისებები - ვის ვინ მოსწონს, ან ვის ვისი ინტერესი აქვს და აშ.

საერთო მიზანი კი, ვფიქრობ, ყველასათვის ცნობილია - ერისა და ქვეყნისათვის კატასტროფის აცილება და ქვეყნის აღორძინებისაკენ შემობრუნება, რისთვისაც აუცილებელია პირველ რიგში ფაქტობრივი ხელისუფლების გადადგომა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენა.

ფაქტობრივი ხელისუფლება სათავეში მოვიდა სამხედრო კრიმინალური გადატრიალებისა და შემდგომ ფალსიფიცირებული, ვითომ არჩევნების მეშვეობით, რომელიც დღიდან გადატრიალებისა ახორციელებს ანტიეროვნულ, ანტიხალხმწიფოებრივ პოლიტიკას ყველა სფეროში, რამაც ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა.

მოცემულ სიტუაციაში ეროვნული ძალების ბრძოლის ნებისმიერი ზნეობრივი ფორმა გამართლებულია.

მოგიწოდებთ ყველას, ვისაც სამშობლოს გადარჩენისა და დაცვის მოვალეობის გრძნობა გააჩნია- გაერთიანდით ერთი მიზნის ქვეშ, საქართველოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები; საქართველოს მხოლოდ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენა გადაარჩენს!

ღმერთი იყოს თქვენი შემწე ამ გადაუდებელ და უწმინდესი მოვალეობის აღსრულებაში - ამინ!!!

ჩვენი რწმენა

# აღმოსავლური მედიტაციის შესახებ
## მართლმადიდებლური რწმენისა და თანამედროვე მედიცინის ფონზე

მ. მედვედევი, ტ. კალაშნიკოვი

*მკითხველისადმი შეთავაზებული სტატიის დაწერა გამოწვეულია არსებული აუცილებლობით. ჩვენს დროში საზაგადოებაში შეიმჩნევა არა მარტო ინტერესის გაღვიძება სულიერი ცხოვრებისადმი, სხვადასხვა სულიერი სწავლებების შესწავლისადმი, არამედ ხდება კაცობრიობის სულიერი გამოცდილების გამოყენება სხვადასხვა მეცნიერებაში, მათ შორის მედიცინაში, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში.*

*აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ექიმი, პედაგოგი ანდა ფსიქოლოგი მიემთხვევა რა განსაკუთრებულ მხარეს - სულიერ რეალობას, სადაც არსებობს უცვლელი სულიერი კანონები, ვალდებულია დაიცვას გონიერი სიფრთხილის პრინციპი - „არ დააზიანო“.*

*თანამედროვე ადამიანისადმი შეთავაზებულ განცხადებათა ნაკადში, გაისმის მოწოდება პირადი ზრდისა, თვითშემეცნების, ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა, ბედნიერების და სიმშვიდის შეძენისა, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა. სამწუხაროდ უმეტესი წილი თანამედროვე სემინარებისა ფსიქოლოგიური ტრენინგებისა და ა.შ. ეფუძნება ნეოინდუიზმს. ამასთანავე სრულიად უსაფუძვლოდ მიმდინარეობს მტკიცება, რომ შემოთავაზებულ პრაქტიკას არავითარი კავშირი არა აქვს არც რელიგიასთან, არც ფილოსოფიასთან. მათთვის დამახასიათებელია აგრეთვე მტკიცება, რომ უმეტეს მათგანს სამეცნიერო დაწესებულებიდან დადებითი გამოხმაურება აქვს. ასე მაგალითად: მტკიცდება, რომ მახარეშის ტრანსცენდენტალურმა მედიტაციამ (ტმ) ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე აპრობაცია გაიარა 500 სამეცნიერო გამოკვლევაში - 215 უნივერსიტეტში და მსოფლიოს სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.*

*ჩვენ მტკიცედ ვამბობთ, რომ აღმოსავლური სულიერი პრაქტიკების უკან დგას განსაზღვრული რელიგიური მსოფლმხედველობანი. ფრანგი ფილოსოფოსის გაბრიელ მარსელის სიტყვებით, რელიგიაში შეცდომას შეუძლია ათასი სულის დაღუპვამდე მიყვანა. ამიტომ ძალზე საჭირო, რომ ადამიანმა თავისი რელიგიური არჩევანი თავისუფლად და გაცნობიერებულად გააკეთოს.*

*ნამდვილად შეუძლია მედიტაციას გააძლიეროს (გაამაგროს) ფსიქიკური ჯანმრთელობა და გადაწყვიტოს შინაგანი პრობლემები და კონფლიქტები? სახიფათოა თუ არა იგი? საერთოდ რა დგას მის უკან? ამ სტატიის ავტორები ცდილობენ მართლმადიდებელი ეკლესიის 2000-წლიანი გამოცდილების და თანამედროვე მეცნიერების შუქზე უპასუხონ ამ კითხვებს და თანამედროვე სულიერი გამოცდილებანი შეაფასონ ამ პოზიციებიდან. ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, ვინც დაინტერესებულია სულიერი პრობლემებით, (მათ შორის პედაგოგების, ფსიქოლოგების და ექიმებისათვის).*

*ა. ს. სტარიცინი*
*პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი*

ვიწყებ რა საუბარს ამა თუ იმ სულიერ პრაქტიკაზე, ძალზედ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ის წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს განსაზღვრული რელიგიური მსოფლმხედველობისა. ნებისმიერ რელიგიურ მსოფლმხედველობაში რჯულის მოძღვრება, ზნეობრიობა და სულიერი პრაქტიკა ღრმა ურთიერთკავშირშია და ერთმანეთზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ამიტომ, ირჩევს რა ამა თუ იმ პრაქტიკას, ადამიანი ახდენს მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ არჩევანს, რომელსაც შეუძლია განსაკუთრებული ხარისხით იმოქმედოს არა მარტო მთელ მის ცხოვრებაზე, შეცვალოს მისი საზრისი და მიზანი, არამედ, რაც ყველაზე მთავარია - განსაზღვროს მისი უკვდავი სულის მარადიული ხვედრი.

მტკიცება იმისა, რომ რომელიმე სულიერი პრაქტიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს სუფთა გამოყენებითი მიზნით, საერთო მსოფლმხედველობისაგან კავშირის გარეშე, კრიტიკას ვერ უძლებს, უარიყოფა თვით ცხოვრებით და შეიძლება ადამიანურ ტრაგედიამდე მიგვიყვანოს. მსგავსი ზედაპირული, მსუბუქაზროვანი მიდგომა დღეისათვის შეიმჩნევა თანამედროვე პედაგოგიკის, მედიცინის და ფსიქოლოგიის ზოგიერთ მიმართულებაში გამოყენებულ სულიერი პრაქტიკისადმი.

ასე მაგალითად, თანამედროვე ფსიქოლოგიის ტენდენციაა შეიჭრას ე.წ. ქვეცნობიერ სფეროში, ამოიღოს იქიდან რაღაც იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის შინაგანი კონფლიქტების გადაწყვეტას, ხშირად არა მარტო ფსიქოლოგიურის, არამედ ზნეობრივისაც კი, რაც უამრავი ფსიქოთერაპიული მეთოდის დაბადებას იწვევს. დღეისათვის გაჩნდა ახალი მიმართულება - ინტეგრაციული მედიცინა. მისი ერთ-ერთი მიზანია ევროპული მედიცინის აღმოსავლურ პრაქტიკებთან შედარება. ამ მიმართულების ჩარჩოში, როგორც ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი სახე, განიხილება მედიტაცია. „ლოცვითი თერაპია“ - ასეთი ტერმინიც კი გაჩნდა. მიუხედავად ლოცვისა და მედიტაციის რაღაც გარეგნული მსგავსებისა მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა. შევეცდებით წმიდა მამათა სწავლების პოზიციიდან განვიხილოთ ეს პრობლემა.



განუსხვავებლობა, აღრევა ლოცვის (კერძოდ მართლმადიდებლური ლოცვის) გაგებისა და მედიტაციისა (ინდოტიბეტური ტრადიციით) ხდება შერყვნილ თანამედროვე წარმოდგენაში, რაც დამახასიათებელია აქტიურად განვითარებადი „New Age“ „ახალი ერის“ მსოფლმხედველობისათვის. ეს „მერწყულის ერის“ მოძრაობა რელიგიური მოძრაობაა, რომელიც დასავლეთში შეიქმნა XX ს-ის შუა წლებში. იგი ცდილობს გააერთიანოს რიგი სარწმუნოებანი, რომლებიც უცხოა ქრისტიანობის და ბიბლიისათვის, მათ შორისაა ოკულტიზმი, 60-იანი წლების „ჰუმანისტური“ იდეები, თეოსოფია, აღმოსავლური გურუების სხვადასხვა სწავლებანი, კარმის კანონები, ასტროლოგია და რეინკარნაცია.

„New Age“ ცნობიერება არის ოკულტო-მისტიკური ტრადიციის საბოლოო პროდუქტი და აერთიანებს ბიბლიური გაგებით ორ ძირითად ცრუ რელიგიას: წარმართობას, რომელიც ბოროტების სულთა ფარულ თაყვანისცემას წარმოადგენს და ადამიან ღმერთობას მსოფლმხედელობისათვის.

ბიბლიის მიხედვით, ცოდვით დაცემის შემდგომ „ღმერთმა ადამი და ცოლი მისი შეამოსა ტყავის ტანსაცმლით“ (შეს. 3,21).

ეკლესიურ გაგებაში „ტყავის შესამოსელში“ ზოგადი გაგებით იგულისხმება მოკვდაობა, რომელიც დაცემულმა ადამიანმა აღიქვა, როგორც თავისი მეორე ბუნება. ბუნების ასეთი ცვლილება ცოდვის გამო სამართლიანი შურისგება იყო, მაგრამ ღმერთის ამ ქმედებაში წარმოჩინდება არა მარტო მართლმსაჯულება, არამედ სიყვარული, ღვთის ზრუნვა ჩვენს დაცემულ პირველმშობლებზე.

ღმერთმა დაუშვა რა ხორციელი სიკვდილის არსებობა, მიმართა იგი ხრწნის წინააღმდეგ, რომელსაც სულის სიკვდილამდე მივყავართ და აარსებს ზღვარს ხრწნისა და ცოდვისათვის. სიკვდილი, ამცირებს რა მიწიერი ცხოვრების დროს, მიმართავს დაცემულ ადამიანს სინანულისაკენ - სიკვდილის საზრისზე განსჯის მეოხებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ უხეშ სხეულში განსხეულებამ ადამიანი მოწყვიტა სულიერ სამყაროსთან ურთიერთობას, რასაც დადებითი საზრისი აქვს. ცოდვით დაცემის შემდეგ ბოროტებისაკენ მიდრეკილებამ განმსჭვალა მთელი ადამიანური ბუნება, და ამიერიდან მას მხოლოდ დაცემულ სულებთან ურთიერთობა შეეძლო და არა ანგელოზებთან, მით უფრო ღმერთთან. უხეში სხეული, როგორც ფარდა, იცავს მას ბოროტების სულებთან უშუალო კავშირისაგან, სხვამხრივ დემონები, სრულად და ყოველთვის მიმართულნი ბოროტებისაკენ, ადამიანს გარყვნიდნენ საბოლოოდ, ამიტომ სინანული, დაცემულობიდან აღდგომა ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა, რასაც აღნიშნავს ღირსი კასიანე რომაელი.

წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი წერს, რომ „სხეული სულს ემსახურება მსგავსად ახალდაბადებული ჩვილის სახვევებისა. სახვევებში შეკრული ჩვილი ღებულობს მართებულ აღნაგობას, რომლის გარეშეც მისი სხეულის ნაწილები თავისი სირბილის გამო მახინჯ ფორმებს მიიღებდნენ. ასევეა განსხეულებული სულიც, დახურული და გამოყოფილია სულთა სამყაროდან, თანდათანობით საღვთო სჯულის შესწავლით ქმნის და იხვეჭს „კეთილისა და ბოროტის გარჩევის (ებრ. 5,14) უნარს“. მაშინ ეძლევა მას სულთა სულიერი ხედვა და თუკი ის აღმოჩნდება მისი ხელმძღვანელი, ღვთის მიზანს შემსგავსებული - მაშინ მის მიერ ნაგრძნობი, მისთვის ნაკლებ სახიფათოა, ხოლო გამოცდილება და ცოდნა სასარგებლო. სიკვდილის სახით, სულისა და სხეულის გაყოფით ჩვენ კვლავ შევდივართ სულთა სამეფოში. სულთა სამყაროში კეთილად შესვლისათვის აუცილებელია კეთილდროული საღვთო სჯულით განსწავლა, სწორედ ამ ცვლილებისათვის გვეძლევა რაღაც დრო - მიწიერი ცხოვრება“.

ე.ი. მიწიერი ცხოვრების მიზანს არ წარმოადგენს უხილავი სამყაროს შემეცნება. მისი დანიშნულებაა - ამ სამყაროსთან შესახვედრად მომზადება, რომელიც სრულად მხოლოდ სიკვდილის შემდეგაა შესაძლებელი და მათთან თვითნებური კონტაქტი და ურთიერთობა ჩვენს მდგომარეობაში სახიფათო და საზიანოა ჩვენი სულებისათვის.

წმიდა მამათა სწავლებით, ჩვენი გონება და გული წარმოადგენს აზრების და გრძნობების აღქმის თავისებურ ორგანოებს, ამასთანავე აზრები და განცდები წარმოადგენენ ავტონომიურ წარმონაქმნებს, რომელთაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ჩვენს გონებასა და გულზე, შევიდნენ მათში.

გონებას აქვს აზროვნების და წარმოდგენის უნარი. მტერი, ეფუძნება რა პირველ უნარს, ცდილობს გვამცნოს ცოდვილი გულისთქმანი, ხოლო ეფუძნება რა მეორეს, ცდილობს გონებაში ვნებიანი გამოსახულებანი აღბეჭდოს.

ეკლესიის მამებმა თავიანთ ასკეტურ ღვაწლში გამოიმუშავეს სულიერი სიფხიზლის მთელი სისტემა. მოსაგრეს დავალებაა - უდიდესი ყურადღებით მოეპყრას თითოეულ გულისთქმას, სახეს, სურვილს, განიხილავს რა მათ ზნეობრივ კანონებთან მიმართებაში, ამით მკაცრად იცილებს ცოდვის ჩადენის მოწოდებას, ვნებების აალებას (სულის გარყვნილებას).

სულიერ გზაზე, ვნებებთან ბრძოლაში, მოსაგრეები იძენენ ხედვის განსაკურებულ ნიჭს - წარმოქმნილი გულისთქმის სურვილის წყაროს განსხვავებისა: ბუნებრივია დემონური სამყაროდანაა თუ ღვთის ნების გამოხატულებაა. უნარი მართებულად შეაფასო, ახსნა გულისთქმა, განცდა, შეგრძნება - ესაა უნარი ღვთის მადლის ადამიანში დავანებისა. ვერავითარი ჩვენი საკუთარი ძალისხმევა ვერ იქნება საშუალება „გარანტირებული“ მოცილებისა სულიერი სიბრმავისა, სულიერი ხედვის შეძენა ხდება არა ადამიანის სურვილის მიხედვით, არამედ ჩვენი სულის მიმთხვევით ღვთის სულთან. შესაბამისად სულიწმიდის ნებით - წერს ეგნატე ბრიანჩანინოვი. გონების ხარისხს - მართებულად განასხვავო გულისთქმანი ათონის მთის მოღვაწე ნეტარი სილუანი მართებულად ეძახდა სიბრძნეს.

სულთა განსხვავების უნარის შეძენის პირობას წარმოადგენს შინაგანი სისუფთავე, რაც მიღწეულია სინანულით და მორჩილებით. სინანულის გარეშე არ არის ცოდვისაგან განწმენდა „ბოროტ სულში ვერ დაივანებს ყოვლადბრძენი და ვერ დაიდებს ბინას ცოდვას დამონებულ სხეულში, ვინაიდან სული წმიდა განეშორება ბოროტებას, გვერდს უვლის არაგონიერ გრძნობას და ერცხვინება მოახლოებული ტყუილისა“ (სოლ. იგავნ. 1,4-5). წმიდა ეგნატესთან ვკითხულობთ: ჭარბი ცნობიერება და საკუთარი ცოდვილობის შეგრძნება, რასაც ღვთის მადლი გვანიჭებს, წინ უსწრებს ყველა მადლისმიერ საბოძვარს. იგი ამზადებს სულს ამ ნიჭთა მისაღებად. სულს არა აქვს უნარი მათი მიღებისა, თუკი წინასწარ არ შევა იგი სიგლახაკის ნეტარ მდგომარეობაში“.

ადამიანის მიერ გაცნობიერება თავისი ბოროტებისაკენ მიდრეკილებისა, მზადყოფნა ცოდვისათვის და საკუთარი უძლურება უხილავის ხედვისა, ბადებს ლოცვით მდგომარეობას, რაც ყოვლადუზენაესის საშველად ხმობაა. სული წმიდის მადლის თანაქმედებით ხორციელდება ჭეშმარიტი განწმენდა და გარდაქმნა პიროვნებისა, მისი გაფუჭებულობიდან სიკეთის ქმედებისაკენ მიმართვა. ხოლო ეს არც კი იმყოფება არაცნობიერის სიღრმეებში, რაც იწვევს პიროვნების შინაგანი კონფლიქტის ინიცირებას (როგორც ამას თანამედროვე ფსიქოლოგია აღნიშნავს)...

ლოცვა - არაა მონოლოგი, არამედ საუბარია რომელშიც ღმერთი სულს პასუხობს და ანათებს მას სული წმიდის მადლით. ანათებს რა ადამიანის შინაგან სამყაროს, ღმერთი ამით ადამიანს ასწავლის, უპირველეს ყოვლისა, მას ეძიებდეს: არა მატერიალურს და დროებითს, არამედ - მარადიულს და ჭეშმარიტად ღირებულს. ლოცვაში ღმერთთან მოსაუბრე ადამიანი აცნობიერებს, რომ ღმერთი - უმაღლესი და ყოვლისშემძლე არსებაა, სიყვარულით სავსე, მაგრამ სამართლიანი, რომლის წინაშეც უნდა კეთილვსასოებდეთ, მისით მანიპულირება, როგორც რაღაც ბნელი ძალისა არ შეიძლება. ის მამაა, რომელსაც უნდა მოუსმინო. ასეთი ლოცვითი გამოცდილება იწვევს ადამიანის ზნეობრივ სრულყოფილებას და მიჰყავს ის უმაღლეს სიკეთემდე - ცათა სასუფევლამდე (იღუმენი ალექსანდრე მილიანტი) - აი, ასეთი ლოცვის ნიმუში:

„ო, ღმერთო, შეგვიწყალენ ჩვენ!

გაგვინათლე ამაოებაში მბრუნავი აზრნნი ჩვენნი, მოგვმადლე გულისშემუსვრილება და ცრემლნი, რათა ამით რამდენადმე მაინც გაგვინათლდეს გულის სიბრმავე და შევძლოთ გზის განჭვრეტა, რომელთაც შენს კვალზე ვიდოდნენ მამანი ჩვენნი“.

თარგმნა
**კობა ვერულაშვილმა**
**მამა ლაზარეს (კანდელაკი)**
**ლოცვა-კურთხევით**

 პოეზია

ზოია ტუღუში

## უსასრულო მოლოდინის სიმღერა

ჟამი უსჯულოების. ჟამი უსასტიკეს
ფლეთა მოკარების
როცა მოგვეახლა,
სული უნაკფიფეს ოუნებათ გალიობის
სადღა ვპოვო ახლა?
მანათობელ მთიებს ზოდიაქო ხვედრის
როცა ჩაენაცრათ,
იმ ლუსკუმა ღამეს სულს რომ
არ ასვენებს
და ცრაური ახლავს.
გათენდება როდის? უსასრულო ლოდინს
ბოლო ვით ეღება?
მარგალიტი თლილი უკაცრიელი ჟამსა
ლორის კოლცს ეგება,
სინრფოება გულის და სპეტაკი სული...
მართალს განეღება გზაი ღვთით დახშული.
სადღა ვპოვოთ ნრფელი აზრი,
გრძნობა – გული,
როცა ფისკიდეთით ერი დაჩაგრული
არვინ შეიბრალა.
კაცი ჯეშმარიტად ღვთისგან არჩეული
არარად ჩათვალა.
ფლემან მშვენიერმან ფისკრად
ანთებულმან
უკვე ჩაიარა.

## ჩემს ბედბრულ სამშობლოს

ჩაიჩოქე ნამიერი გარინდებით,
უფალმა საკვედურით მოგვხედა,
„სიკვდილმა გაიხუმრა"... ბარიერი
გაგრძელდა ნოსტალგან.
უფლის კრავი – შესანირი ზვარაკი,
ჯვარუმული საქართველო – ლამანჩელი,
გამეტებულ-გაყიდულ-გაძარცვული
მეზლაპრე-მეოუნებად განაჩენი.
ურემლები დამშრალა რა ხანია,
ზღვა მნუხარემ დალია,
მდუმარე გლოვაა, მახარია,
გული – უსამშობლო გალია.
სამშობლო უგულო, უნუგეშო
გაუხოებული ჰგიესო,
ბაბილონის გოდოლი ბედისწერად
კვლავ დავიმსახურეთ, იესო.

## რაირიგ მიყვარდით

მე თქვენი სევდა ურემლებს მგვრიდა
და მამუნჯებდა,
თქვენგნით მებოძა მნუხარება
უხვ საუნჯედა...
დადგება ჟამი,
ის გრძნობები შეიმუსრება,
სულს შემორჩება ტკივილები
ავგაროზებად.
სიმდიდრე თქვენი, –
სინანულით სავსე საღარო,
ნეტავ ინებოთ,
სამუდამოდ მე ჩამაბაროთ.
რომ ტანჯვა თქვენი
უნაპირო მიუსაფრობა
თან გამაყოლოთ
იმქვეყნიურ მყუდრო სადგომთან.
ჩემი სიყრუხლის დასალიერში
უკანასკნელი ამოსუნთქვით
ნეტავი შევძლო
თან წარვიტაყო
ჩემსავით ჩუმად განაპირებული
ყოველი კაცის დარდი
და გაგიმხილოთ:
მთელი ცხოვრება ბოლო ნუთამდე
რარიგ მიყვარდით.

შტრიხები პორტრეტებისათვის

# როგორი კაცთმოყვარენი და სამართლიანები იყვნენ ბატონი მერაბი და ბატონი ზვიადი

ასმათ სანიკიძე

1988 წლის აგვისტოს თვეში სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა. ჩემი ახლობელი გოგონა, ქუთაისელი ირმა კუხიანიძე მეხუთედ გადიოდა გამოცდაზე. იგი ძალიან ნიჭიერი და მომზადებული იყო, მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოხვდა სამხატვრო აკადემიაში. წინა წელს კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანთანაც კი გავაპროტესტეთ (მაშინ ის კურირებდა აკადემიას), მაგრამ უშედეგოდ და აი, ირმა კვლავ დაბალი ქულებით დარჩა აკადემიის გარეთ. უცბად გადავწყვიტე მიმემართა ბატონი მერაბისა და ბატონი ზვიადისათვის. ისინი ძალიან დაკავებულნი იყვნენ (მოსული იყო ლიხნის წერილი), იმ დილით სოხუმში უნდა წასულიყვნენ, მაგრამ როცა ბატონ ზვიადს მოვახსენე ჩემი გასაჭირი მერაბ კოსტავას ეზოში, მან იხმო მეგობარი და უთხრა: მერაბ, შენ ხვალ დილით წამოდი, ახლა კი ამ ქალბატონს გაპყევი და



გაარკვიე, რა ხდება აკადემიაშიო. ბატონმა მერაბმაც მაშინვე იხმო გია ბულაძე, შექმნეს კომისია და წავედით. იქ კიდევ 20 აბიტურიენტი მოეხსნათ რესტავრაციის ფაკულტეტიდან და იმ წელს ეს ახალგაზრდები გარეთ რჩებოდნენ. შემოეხვივნენ ბატონ მერაბს და სთხოვეს დახმარება. მან ინახულა აკადემიის რექტორი და სთხოვა, რომ ჩემი ნათესავისა და კიდევ ხუთი სხვა ახალგაზრდისათვის ხელმეორედ დაენიშნათ გამოცდა. გია ბულაძის მეთაურობით შექმნილმა კომისიამ გაასწორა ნამუშევრები, ხუთიდან ოთხი ბავშვი ფრიადი შეფასებით ჩაირიცხნენ აკადემიაში. ხოლო ის ოცი განათლების სამინისტროდან მოტანილი ნებართვით დააშვებინა გამოცდებზე. იმ ბავშვების თვალები ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, როგორი მადლიერებით ეხვეოდნენ ბატონ მერაბს და რა სამადლობელ სიტყვებს ეუბნებოდნენ. აი, ასეთი უშუალონი და კაცთმოყვარენი იყვნენ ბატონი ზვიადი და ბატონი მერაბი.

# გაუტეხლობა-დაუმორჩილებლობის მატიანე

ალექსანდრე ბატონიშვილი

***

1801 წელს იმპერატორის მანიფესტით ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა გაუქმდა და საქართველოში კოლონიური რეჟიმი დამყარდა.

***

1802 წელს, სოფელ ქელმენჩურში თავადებმა შეთქმულება მოაწყეს რუსული მმართველობის წინააღმდეგ. მიეხმარნენ გლეხებიც. მოითხოვეს ქართ-კახეთის სამეფოს აღდგენა და მეფედ იულონ ბატონიშვილი მოიწვიეს. თავად ჩოლოყაშვილის გამცემლობის შედეგად შეთქმულება ჩაიშალა. რუსთა სარდლობამ შეთქმულების ხელმძღვანელები დააპატიმრა. ბევრი შეთქმული ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა.

***

1803 წელს გენერალი ლაზარევი კაზაკთა რაზმით შეიჭრა მარიამ დედოფლის სასახლეში და მისი გადასახლება ძალით მოინდომა. შეურაცხყოფილმა დედოფალმა გენერალი ლაზარევი ხანჯლით მოკლა.

***

1804 წელს მოხდა მთიულეთის აჯანყება. მთიულებს მიეხმარნენ გუდამაყრის, ჭართლის, ჭნის, ხანდოს ხეობებში მცხოვრებნი, ასევე ფშავ-ხევსურები და თრუსოს ხეობის ოსები. აჯანყებულებმა საქართველოს სამეფო ხელისუფლების აღდგენა მოითხოვეს. 9 აგვისტოს აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები, რომელთაც გიორგი შელა სარდლობდა. რუსეთიდან დამატებითი ძალები შემოვიდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას გენერალი ციციანოვი ჩაუდგა სათავეში. აჯანყება დამარცხდა. შეიპყრეს და რუსეთში გადასახლეს ფარნაოზ ბატონიშვილი. ციხეში გამოკეტეს 300-ზე მეტი კაცი.

***

1810 წელს გენერალ ტორმასოვთან ვითომ მოსალაპარაკებლად მოტყუებით მიწვეული იმერეთის მეფე სოლომონ II დააპატიმრეს და თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ მან ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დამპყრობლებს. მან მრავალგზის დაამარცხა რუსთა ჯარები, მაგრამ... გურიელმა და სამეგრელოს მთავარმა დალიანმა დიდი დახმარება გაუწიეს რუსთა ჯარებს იმერეთის დაპყრობაში და სოლომონ II დამარცხდა. იგი ახალციხეში გაიქცა.

***

1810 წელს, როდესაც იმერეთში ცხარე ბრძოლები იყო, ქალაქ სოხუმს ზღვიდან მოუახლოვდა რუსთა ბატალიონი და ქალაქში შეიჭრა. გიორგი შერვაშიძე რუსთა ერთგულებაზე დააფიცეს.

***

1812 წელს აჯანყებამ იფეთქა კახეთში. 31 იანვარს ახმეტელებმა საგზეკეცო რაზმი განდევნეს. 6 თებერვალს აჯანყებულებმა სიღნაღი აიღეს და ბოდბისეკენ განლაგებული რუსთა ჯარიც გაანადგურეს. ასევე მოხდა კაკაბეთში, ანაგაში, მანავში. კახეთის აჯანყებას მიეხმარნენ ფშავ-ხევსურები, მთიულეთ-გუდამაყრელნი. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას თვით მთავარმართებელი პაულუჩი ჩაუდგა სათავეში. გადამწყვეტი ბრძოლა ჩუმლაყთან მოხდა. ოთხი ათასი აჯანყებული თავგანწირვით იბრძოდა. აჯანყებულებმა მოკლეს ვახტანგ ორბელიანი (ერეკლე მეფის სიძე) და დაჭრეს პაულუჩის ადიუტანტი - პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. აჯანყებულთა ბრძოლას ჩუმლაყთან მეთაურობდა მეფედ გამოცხადებული გრიგოლ იოანეს ძე - იგი დამარცხების შემდეგ დაღესტანს გაიქცა.

სასტიკი ბრძოლა იყო სამხედრო გზის რაიონშიც. დუშეთისა და ანანურის აღების შემდეგ პოლკოვნიკი უშაკოვი თიანეთისაკენ გაემართა. ძლიერი შეტაკება მოხდა 5 მარტს. მთავრობის ჯარმა სძლია აჯანყებულთ, რომელთაგან 8 კაცი იქვე ჩამოახრჩვეს.

შემოდგომაზე კი კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც ამჯერად ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე ბატონიშვილი იმ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის მოსპობით განახორციელა" (ნ. ბერძენიშვილი).

10 ოქტომბერს შილდასთან სასტიკ ბრძოლაში, რომელმაც 7 საათს გასტანა, ალექსანდრეს ექვსი ათასიანმა ლაშქარმა უკან დიხია. რუსთა ჯარის სარდალმა დიმიტრი ორბელიანმა აკაფვინა ვენახები.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 26 ნოემბერს, მანავთან. მთავრობის გაერთიანებულ ჯარებთან ბრძოლაში ალექსანდრე დამარცხდა. მისი ჯარი დაიშალა. იგი მხლებლებითურთ შატილში გადავიდა.

წლის მაისში რუსებმა შატილს შეუტიეს. მარცხმა სულიერად და ფიზიკურად ვერ გატეხა ალექსანდრე ბატონიშვილი. იგი ბრძოლას განაგრძობდა და კავკასიის მთიელებს რუსთა ბატონობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ომისკენ მოუწოდებდა. 30 მაისს რუსთა ჯარები სოფელ ლებაისკარში დაბანაკდნენ. ხევსურებმა ოჯახები გახიზნეს და გადამწყვეტ ბრძოლისათვის მოემზადნენ. შატილის მისადგომებთან მოხდა იმ დროისათვის თითქმის განუმეორებელი უთანასწორო ბრძოლა მცირერიცხოვან ხევსურებსა და კარგად შეიარაღებულ მრავალრიცხოვან რეგულარულ ჯარებს შორის. 700 ხევსური შეეწირა ამ უმაგალითო ბრძოლას. გადარჩენილმა მცირე რაზმმა შატილი დატოვა. დამსჯელმა ჯარმა ხევსურთა 20 სოფელი დაანგრია.

სასტიკი დასასრული ჰქონდა კახეთის აჯანყებას. 5 ჩამოახრჩვეს, 25 კაცს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. ქვეყანა აოხრდა და გატიალდა.

***

1810-1820 წლებში, დიდმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა იმერეთში, გურიაში, რაჭაში. აჯანყების ლოზუნგი „სამშობლოს განთავისუფლება" იყო. 1820 წლის მარტში დააპატიმრეს აჯანყების მოთავეები: მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სოლომონ I-ის ასული დარეჯანი, სუხნია წულუკიძე და მდივანბეგი დავით მიქელაძე.

მთავრობის ჯარებს პოლკოვნიკი პუზირევსკი ჩაუდგა სათავეში. შემოქმედის ციხისაკენ მიმავალ პოლკოვნიკს გზაზე სამი გურული შემოხვდა. გურულებს მან ლანძღვა-გინება დაუწყო და ერთ მათგანს მათრახიც უთავაზა. ეს საკვიცილი სიცოცხლის ფასად დაუჯდა პუზირევსკის. იგი იქვე მოკლეს.

იმერეთისა და გურიის აჯანყების ჩასაქრობად

ისტორიის გაკვეთილები

ამიერკავკასიის სარდლობამ გაგზავნა სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც გენერალი ველიამინოვი ხელმძღვანელობდა. ექსპედიცია ჯერ რაჭას შეესია. დაწვეს და დაანგრიეს სოფლები, დააპატიმრეს 70 კაცი.

24 ივლისს რუსებმა, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, შემოქმედის ციხე აიღეს. მათ ამ ბრძოლაში 68 კაცი დაკარგეს. დაწვეს მრავალი სოფელი...

***

1828 წელს გურიაში რუსთა ჯარები შევიდნენ. სოფიო გურიელი თავისი მხლებლებით ოსმალეთში გაიქცა. 1829 წელს, იმპერატორის ბრძანებით, გურიელის ხელისუფლება საბოლოოდ გაუქმდა.

***

1830 წელს რუსთა ჯარმა ჭარ-ბელაქანი აიღო და იგი რუსული მმართველობის სისტემაში მოექცა.

***

1832 წელს იასე ფალავანდიშვილმა გასცა ქართველთა შეთქმულება. შეთქმულთა გეგმით პირველ რიგში გათვალისწინებული იყო თბილისსა და მის გარეუბნებში განლაგებული რუსთა ჯარების განიარაღება. ამ ოპერაციისთვის სპეციალურ შეიარაღებულ რაზმებს ამზადებდნენ ელ. ერისთავი, დ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ბ. ამილახვარი, გ. თუმანიშვილი...

შეთქმულების მთავარი მიზანი ეროვნული დამოუკიდებლობა იყო.

შეთქმულნი მკაცრად დასაჯეს. ელ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ს. რაზმაძე, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი... რუსეთის სხვადასხვა მხარეებში გადაასახლეს.

***

1834 წელს, სვანეთმა იმპერატორის კარის განცხადებით, „რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი განაცხადა".

***

1841 წელს აჯანყდა გურია. 9 აგვისტოს აჯანყებულმა სოფელ გოგორეთთან პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი დაამარცხეს, შემდეგ კი ნიკოლაევის საგუშაგოს დაეუფლნენ და იქ მყოფი ჯარისკაცები და კაზაკები განაიარაღეს. სამჯერ სცადეს ოზურგეთის აღება, მაგრამ უშედეგოდ.

აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა 2100 კაცისაგან შედგენილი რეგულარული ჯარი და 1700 კაცისაგან შემდგარი თავადაზნაურთა რაზმი (ისევ ქართველები ქართველების წინააღმდეგ...).
აჯანყება ჩაქრეს. 50 მოთავე დააპატიმრეს...

↩ ᲒᲗ. 2

ჩვენ მოკრძალებული ეჭვი გვიჩნდება, ხომ არ არის „ქებაჲ და დიდებაჲ“ დაწერილი თვით ღვთის რჩეული ბერისა, მოფიქრალისა ქვეყნის მომავალზე. მომავალი ჯმთა სიავის მჭვრეტელმა დაგვიტოვა ეს ქრისტიანულ-ეროვნული გამკაფველი თხზულება იმედად, როგორც სინამდვილე ფრიად ძნელად შესაცნობი.

გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები აგრძელებენ ქრისტიანულ-ეროვნულ, სახელმწიფოებრივი ერთიანობის და სამეფო ხელისუფლების მომცველ მსოფლმხედველობის ქადაგებას.

VIII-IX-X საუკუნეებში ასეთი ღირსეული ღვთისა და ღვთის რჩეული ბერის წყალობითა და ლოცვა-კურთხევით მრავალად იყვნენ.

ნინოჲს II ჰიმნოგრაფი შესთხოვს წმინდა ნინოს:

„ადიდე შენ, ქართლი,
სამითა დიდებითა,
კუართითა მით შენითა,
ჴელთა შენთა სამსჭელითა,
ფერჩხთა შენთა ფიცრითა“.

აქ მოხსენიებული სამი დიდება არის ის საყრდენი, რომელზედაც დგას სვეტიცხოველი და ქართული ეკლესია, რომელსაც „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ვერას დააკლებენ.

ერის მამებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მნიშვნელობა „არ დავწყვეს მოყვრისა“. ანონიმი ავტორი იხსენებს 853 წელს. ბუღა თურქის მიერ ქრისტიანულ-ეროვნული საქმისათვის თავშეწირულ ქართველს კონსტანტინე კახაჲს, რომელზეც მოკრძალებული აღფრთოვანებით ამბობს:

„ჭეშმარიტსა მოქალაქობასა
ღირს იქმნა კონსტანტი“.

მათ იციან, რომ დიდი კაცი ღვთის ნებით მოევლინება ქვეყანას, რომ იგია სინათლე და სიმართლე მშობელი ერისა და დამმარცხებელი მტრისა.

მოვუსმინოთ ბაგრატ ხახულელს:

„რომელმან ნათლად ცხორებისა
მოსცა ეფთჳმე, და დასცა მტერი!“

(იგულისხმება ეფთჳმე მთაწმინდელი).

აღსანიშნავია, რომ ამ უმეფობისა ჟამს გრიგოლ ხანძთელის ვედრება მეფისათვის, ამ დროის თითქმის ყველა მოღვაწესთან პირველ რიგში ა წამოწეული.

ექვთიმე თაყაიშვილის დიდი წინაპარი მიქაელ მოდრეკილი შესთხოვს იესო ქრისტეს:

„მოჰმადღე
ძლევაჲ მეფესა მორწმუნესა
მტერთა ურწმუნოთა წინააღმდგომთაჲ“.

სამოელ მგალობელი ევედრება მარიამ ღვთისმშობელს, სთხოვოს ყველა წმინდანს:

„რაჲთა მოსცეს ძლევაჲ მეფესა ჩუენსა
მტერთა მიმართ ურწმუნოთა“.

სტეფანე სანანოჲს-ძე ჯუონდიდელი შესთხოვს წმიდა ჰაბოს ევედროს ქრისტეს:

„რათა ძლევაჲ
მადლით მოჰმადლოს მეფესა ჩუენსა“.

დიდი ქართველი პოეტი, მგალობელი იოანე მინჩხი ემუდარება წმიდა გიორგის უშუამდგომლოს უფალთან რათა:

„დაამორჩილე ერი ურჩი,
ურწმუნოჲ, ნათესავი უცხოჲ
მეფესა ქრისტეს მოყუარესა
და დაამდაბლებენ ქუეშჱ ფერჴთა მისთა
მტერნი და წინააღმდგომნი მისნი“.

ნეტარი მამის დაწყებული ქრისტიანულ-ეროვნული მოძრაობა დასრულდა საქართველოს გაერთიანებით, როდესაც ტახტზე ავიდა ბაგრატ მესამე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
და მთავრობა დაბადების დღეს ულოცავს
ბატონ **ᲑᲘᲛᲣᲠᲖᲐ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲡ**, უსურვებს
ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს
ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და
თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

## „სამართალი არს სიტყუაჲ შენი!“

საინტერესოა, რომ დასაწყისი გაერთიანებისა უსისხლოდ მოხდა. ხოლო გვირგვინი ქართველური რასისა, არის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართული ენისაჲ“.

ღმერთი ერის წინამძღოლად ყოველთვის მოაყენებს ხოლმე ორი იმპულსით აღსავსეთ. ორი იმპულსის მატარებელი - გრიგოლ ხანძთელის, დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის სწორუპოვარი მემკვიდრე ზვიად გამსახურდია ასე განმარტავს ამ ორ იმპულსს: „ერთი მისტიური ჭვრეტის გზაა, მეორე სოციალური გახვითარებისა, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და პოზიტიური თეოლოგიისა... ერთთან დაკავშირებულია ღვთის მისტიური ჭვრეტა, მისტიური თეოლოგია, მეორესთან - ქველმოქმედება და სამართლიანობა სოციალურ სფეროში, აგრეთვე ოფიციალური დოგმატური თეოლოგია, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო იდეოლოგიას“.

მისტიური ჭვრეტითა და ქველმოქმედება-სამართლიანობით, VIII-IX-X საუკუნეების ქრისტიანულ-ეროვნული კულტურის შემოქმედთა ნაღვაწის მცოდნე ძველ ქართველს, სიამაყით წარმოუთქვამს:

„დღეს დიდების - მეტყველებს ქართველთა ენაჲ“.

ეს მოკრძალებული გახსენებაა იმ ეპოქისა, როდესაც ქვეყანა დანაწევრებული და საზღვრებმორღვეული იყო, როდესაც ენას, მამულს და სარწმუნოებას საფრთხე ემუქრებოდა, როდესაც დამპყრობლის ძალადობა ზღვარს იყო გადასული. მაშინ ქართველ ერს აღმოაჩნდა ძალა მისი დაძლევისა. ზედაპირული შედარებაც საკმარისია, რომ დღევანდელობა დაგინახოთ. თუმცა, ჩვენის აზრით, უფრო მძიმე და უფრო შეშფოთებაა. მაგრამ მადლობა შეეკადროთ უფალს, რომ არ სტოვებს ღვთისმოყვარე ერს უნუგეშოდ. თუ მაშინ გრიგოლ ხანძთელმა იტვირთა ეს, 13 საუკუნის შემდეგ ზვიად გამსახურდიას დაეკისრა იგივე მისია. ორივეს მოღვაწეობა ზექვეყნიურისა და ამქვეყნიურის ჰარმონიული მსახურებაა, ზრუნვა - დაბრუნოს გზააბნეული ერი, როგორც ეკლესიის, ასევე ქვეყნის სამსახურად.

თუ ჩვენმა წინაპრებმა იწამეს გრიგოლ ხანძთელისა და გადაგრჩით, ნუთუ დღეს არ გვეყოფა სულიერი და გონითი ძალა და არ აღვასრულებთ მოწოდებას ერის წინამძღოლისა, რომელიც მარადიულ ანდერძად ჯერს:

„დაუბრუნდით ეკლესიის წიაღს და ილოცეთ საქართველოსათვის, მისი ჭეშმარიტი რელიგიური და ეროვნული აღორძინებისათვის, მისი გადარჩენისათვის“.

„ᲥᲣᲯᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ“

## ᲔᲠᲗᲒᲠᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲥᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲚᲐᲠᲘ

კარგა ხნის წინათ უმუშევრობით და, შესაბამისად, უსახსრობით შეწუხებული, ავყევი მეგობრის რჩევას, გავიმეტე ოჯახური ნივთები (ჭურჭელი, სამკაული) და რამდენიმე კაცთან ერთად გადავლახე თურქეთის საზღვარი. თუმც ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამიყოდია და ბაზარში დგომას სიკვდილი მერჩივნა, მეგობრებთან ერთად მაინც მოვახერხე შემომველო თურქეთის რამდენიმე ქალაქი და, როგორც იქნა, ხელიც დავიცალე, მცირე თანხა მოვაგროვე, რითაც რამდენიმე ხნით არსებობის გაგრძელებას ვაპირებდი. უცხო ქვეყანაში ბევრი რამ ვნახე ისეთი, რაც მართლაც ყურადღებისა და აღნერის ღირსია, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთ ვინმე მიდგას თვალწინ - ერზრუმის ბაზარში გაცნობილი, ნარმოშობით ქართველი, სულეიმანი, რომელიც დამტვრეული ქართულით, მაგრამ საკმაოდ გასაგებად ლაპარაკობდა. ჩემი წინაპრები ბერიძეები იყვნენო, ამბობდა. იგი იოლად მიეკედლა ჩვენს ჯგუფს, რამდენიმე დღე სულ ჩვენთან ტრიალებდა, ცდილობდა რითიმე პატივი ეცა. ნამოსვლისას ჩვენს „სასტუმროში“ მოვიპატიჟეთ. შეძლებისდაგვარად გამოსათხოვარი სუფრა გავშალეთ. სულეიმანი მუდამ ერთისა და იმავეს იმეორებდა, რომ ნამდვილად ქართველი იყო და ამით ძალიან ამაყობდა. თურმე მის მამა-პაპასაც თავიანთი ქართველობით თავი მოსწონდათ, მეზობლობაში მათ სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა, როცა ვინმეს წაეკამათებოდნენ, ეტყოდნენ, თურქი ხომ არ გგონიავართ, ქართველები ვართო.

ამჟამად კი სულეიმანის ღირსება ძალზე შელახული ჩანდა. რა მოხდა, რამ შეგცვალათ ასე? - გვეკითხებოდა იგი. როცა პირველად უნახავს ათასგვარი ბარგ-ბარხანით დატვირთული ქართველები, არც კი დაუჯერებია, რომ ისინი მისი თვისტომნი იყვნენ, სხვებსაც უმტკიცებდა, ესენი სულ სხვა ხალხიაო, მაგრამ როცა მოვაჭრეთა ნაკადმა დაუსრულებლად იმატა, რაიმეს დაფარვას აზრი აღარ ჰქონდა. კი, გაჭირვება და ამასთან დაკავშირებული ბაზრობებზე ხეტიალი მისთვის ასე თუ ისე გასაგები იყო, მაგრამ სხვა მანკიერებანი? განსაკუთრებით ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ქალის ყოფა-ქცევა აშფოთებდა. თურმე იქ მანამდე ქართველ ქალზე, მის ოჯახურ ერთგულებაზე, სიწმინდეზე ლეგენდები დადიოდა და ახლა, როცა ყველაფერ ამას ჩრდილი მიადგა, კვლავ და კვლავ იმეორებდა, რა მოხდა, რატომ არის ასე?



გულდაკოდილნი ვბრუნდებოდით შინ. ხანდახან ერთმანეთში ვლაპარაკობდით, ხან კვლავაც გონებაში ამოტივტივდებოდა ჩვენი თვისტომი ყმაწვილკაცის სახე და ვეუბნებოდი: ჩემო სულეიმან, შენ კი არა, ჩვენც ვერაფერი გაგვიგია, ახლა ჩვენთან ისეთი ვერაგობა, უთავბოლობა და განუკითხაობაა გამეფებული, რომ ლამის ერთიანად აგვებნეს თავგზა და თუ ჩვენს ქვეყანას ნამდვილი მხსნელი და პატრონი არ გამოუჩნდა, კვლავ და კვლავ ახალ-ახალ უბედურებებს უნდა ველოდეთ.

*ᲒᲘᲠᲩᲐᲜᲐ ᲙᲐᲮᲐᲫᲔ*

## ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

(ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ)

სკოლიდან გამოსული ნუგზარი ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად პირდაპირ პოლიკლინიკისაკენ გაეშურა, კაბინეტში მორიდებით შეკიდა და ექიმს „პოლისი“ გაუნოდა.

ექიმმა „პოლისი“ გამოართვა და პაციენტს ჰკითხა:

- რა წამალი გჭირდებათ, ბატონო?

- კუჭი მანუხებს, ექიმო, ამ ბოლო დროს უძილობაც დამჩემდა.

- სამწუხაროდ, ამჟამად არაფერი გვაქვს სამაგისო - უპასუხა ექიმმა.

ნუგზარმა სინანულით ახედა ექიმის უკან თაროზე შემონყობილ ნამლებს და თვალი ფერადი აბებით ავსებულ ფლაკონზე შეუჩერდა.

- ამ ფლაკონში რა ნამალია, ექიმო? - ხელით მიანიშნა ნუგზარმა - იქნებ გამომადგეს.

ექიმმა ფლაკონს დახედა.

- ვიტამინებია, ნაიღეთ, თუ გნებავთ.

- ნავიღებ, რა სახისაც არ უნდა იყოს, ვფიქრობ, გამომადგება.

- რა თქმა უნდა. ვიტამინი ხელს უნყობს ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. დღეში ერთხელ მიიღეთ - თქვა ექიმმა, „პოლისში“ ჩანანერი გააკეთა და ფლაკონთან ერთად ნუგზარს მიაწოდა.

ნუგზარმა ექიმს მადლობა გადაუხადა და კაბინეტიდან გავიდა. ვიტამინების მილება იმ დღიდანვე დაიწყო. სამი დღის შემდეგ მოულოდნელად მუცელში მწვავე ტკივილები შეიგრძნო, სკოლიდან ნაადრევად ნამოვიდა და სახლში მისვლისთანავე ლოგინზე გაიშხლართა, ცოლს გასძახა:

- ნანიკო! მიშველე, ცუდადა ვარ ძალიან.

- ვაი ჩემს თავს - შეჰკივლა ნანიკომ და მეუღლესთან მიირბინა.

- რა გაწუხებს, ნუგზარ, რა?

- მუცელი, ქალო. ასე მგონია, შიგნეული ჩანყდება, ვაიმე.

- ახლავე ჩვენს მეზობელ ექიმს, სევერიანს, დავუძახებ - თქვა და სახლიდან გავარდა.



სულ მალე ნანიკო და სევერიანი ნუგზართან გაჩნდნენ.

- რა გაწუხებს, ბიჭო, მუცელი?

- მაწუხებს და მერე როგორ...

- დღეს რა ჭამე, მითხარი?

- არაფერი ისეთი, ამ დილით ჩაი დაველიე მხოლოდ და ვიტამინები მიგიღე კიდევ.

- მაინც როგორი შეგრძნება გაქვს მუცელში?

- რაღაც მქაჩავს ძალიან.

- მაჩვენეთ, რა ვიტამინია.

ნანიკომ სწრაფად მოძებნა ფლაკონი და ექიმს მიაწოდა.

სევერიანმა დაკვირვებით შეათვალიერა ფლაკონი, უცხო ნარნერებს დააცქერდა და გაოცებულმა შეჰკვირა.

- ამას ლებულობდი, შე კაცო?! ეს ხომ ორსულობის მოსაშლელი ნამალია. კიდევ კარგი, დროზე გავიგეთ, თორემ ვინ იცის, ნაყოფის ნაცვლად რას მოგნყვეტდა.

- გადააგდეთ, მომაშორეთ - შეჰყვირა ნუგზარმა და ფლაკონი სევერიანს ხელიდან გამოჰგლიჯა.

გაფითრებულმა ნანიკომ ფლაკონი შეუმჩნევლად აიღო და ხალათის ჯიბეში ჩაიდო.

- ჯანდაბას, იყოს, მე მაინც გამომადგება, ბაბა, ტყუილად ჩაგვეთვალოს ჰუმანიტარულ დახმარებაში?

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲝᲜᲘᲡᲔ ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲙᲣᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: kuji@posta.ge
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.ge/kugi

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ
ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ
№12/5/3-4818

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ
ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ
ᲣᲠᲩᲜᲔᲑᲐᲡ.
ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ
ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ
ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ
ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.